წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. შაბათი, 6 მარიამობისთვე 1916 წ. № 175

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს [illegible] კ., [illegible] კნელზე—10 კ., [illegible] ლებულ განცხადებათა [illegible] ქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 4 მ.; 20×2 ღირს მ., 25×2 ღირს 7 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღ. 1 მ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ფასი დღიურად დირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**გრაფიკებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 2 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **ხარიტონ შანშიაშვილი.**

## მეხილეთა ამხანაგობა „ქართლის“ გამგეობა

**ამით აცხადებს, რომ კვირას, 7-ს მარიამობისთვეს ქ. გორში, დილის 10 საათზედ** დანიშნულია წევრთა

## საზოგადო კრება

**განსახილველია:**
1) წლიური ანგარიში და საქმის მდგომარეობა.
2) გამგეობის წევრთა არჩევნები.
3) მიმდინარე საკითხები.

**კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.** (2—202—2)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)

**შაბათს,** 6 აგვისტოს, ქართულ ენაზედ წარმოდგენილი იქნება

## არშინ-მალ-ალან

**აზიური ოპერეტა** 4 მოქ. აჯიბეგოვისა, თარგ. ბ. გოგაშვილისა.
ბაღში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

**კვირას, 7 აგვისტოს, ივ. სარაჯიშვილის,** ქ-ნ ერნესა და **დუბროვსკის** მონაწილეობით გაიმართება **კონცერტი** ორის განყოფილებით
როიალს დაუკრავს **ო. რავენსკაია.**
კონცერტზედ შესვლა უფასოა. **დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**
სტუმრები საზოგადო წესით. (1—204—1)

## სავაჭრო სახლი „ძმ. სესიევები და ამხ.“

(ვაგზლის ქ. № 6)

**ამით აუწყებს** საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა **1916 წ.** თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

## ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

## კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება
საუზმე, სადილები, ვახშმები | ჩაი, ყავა, ხაჭაპური, პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით **სილ. ს. გიგიბერია.**

## ახალი მელანი
## კოტე ონიკაშვილისა

**დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგ ფასებში**

ვინც ორ თუმანზე მეტს გამოიწერს შუშით (ფლაკონით) ეღირება: გირვანქა—1 მ., ½ გირვანქა—50 კაპ. ¼ გირვანქა—30 კაპ.
ვისაც ფუთობით ჰსურს გაიწეროს უფლაკონოდ ერთი ფუთი ღირს 35 მან.
გასაგზავნს ფასს ნახევარს ჩვენ ვიხდით. ფასდადებით მელანი გაეგზავნება, ვინც მესამედს ფასს წინადვე გამოგვიგზავნის.

**მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს**

**მისამართი:** ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

ღვინის საწყობი

## ნიკო გ. სესიაშვილისა

**იყიდება ხელსაყრელ ფასებში ხაუცხოვო ნამდვილი**

## კახური ღვინო

**განთვის ქუჩა № 4.**
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. (185—წ.)

## ვამზადებთ პიროგით

პრაპორშჩიკთა სკოლისათვის. მეცადინეობა დაიწყო. მსურველთა მიღება გრძელდება. პირადათ მოლაპარაკება ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე.
**მისამართი:** მოსკოვის ქუჩა, № 24. ბინა 1. (თ-128-15)

**ვურჩევთ** იმ ახალგაზდა ყმაწვილებს, რომლებიც ქართულ ლაპარაკის დროს ურევენ უცხო სიტყვებს, შეიძინონ

## უცხო სიტყვების ლექსიკონი,

რომელიც შესდგება 128 გვერდისაგან, შეიცავს 2700 სიტყვას და **ღირს მხოლოდ 20 კაპ.**
ბითუმად მყიდველებს მიეცემათ საჩუქარი (скидка). მისამართი: Тифлисъ, типографія „Эпоха“, Ивану Сулханову, ან კოოპერატივ „მეურნის“ კასსაში. (1—289—1)

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის** პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

**პროვიზორის ახვლედიანისა**

ექიმი-დოსტაქარი

## გ. მ. მუხაძე

**იღებს** ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის-ძე

## კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს თიბათვის 15-დან **იღებს მანგლისში** კორპუსის ბანაკში

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი

## ა. დ. შაჰბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი

## მ. ი. ვარნაძე

**იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს** მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

**დ. ზუბტაფონში**
ექიმი

## დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 **საათამდე,** ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

**თბილისი, 6 მარიამობისთვე.**

**დიდი ქართული საკითხი.** რუსეთის სატახტო პრესა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე ალაპარაკდა. იგი ირწმუნება, უწმინდესი სინოდისა და სამინისტროს გავლენიანი წევრების ყურადღება დღეს საგანგებოდ შეჩერებულია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე. ობერ-პროკურორის ვოლჟინის საქართველოში ჩამოსვლასაც სწორედ ამას უკავშირებენ. ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს დიდი ხნის წარსული აქვს. მდიდარი და ძვირფასი მასალაც დაგროვდა ამის თაობაზე.

ამ მასალის შესწავლიდან აშკარად სჩანს იმ აქტის უკანონობა, რომელმაც საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გვირგვინი მოხადა.

ვინც ამ მასალასა და საქართველოს ეკლესიის ტკივილებს ახლო გასცნობია, იმას ერთად ერთი რწმენა გამოუტანია, რომ შეუძლებელი იყო საქართველოს ეკლესიის აღდგენა ავტოკეფალიის გარეშე.

ეს კარგად უწყოდენ იმათ, ვისზედაც დამოკიდებული იყო თვით ჩვენი ეკლესიის ბედი. მაგრამ დღემდე საჭიროდ არ უცვნიათ ქართული ეკლესიის კანონიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და საკითხი დავიწყებას მიეცა.

დღეს მმართველ წრეებში კვლავ გაიღვიძა ინტერესმა ქართულ ეკლესიისადმი. ჩვენ არ ვიცით, თუ რომელმა გარემოებამ დაატანა მათ ძალა, არ ვიცით, თუ ვის რა მოტივი ამოქმედებს. ამას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ქართველი საზოგადოება მხოლოდ იმით არის დაინტერესებული, რომ ქართულ ეკლესიას დაუბრუნდეს თავისი უფლება და ქონება. ქართული ეკლესია, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში მთელი ერის სულიერ მოძღვრებას ეწეოდა, უფლების დაბრუნებას მოელის, რომ ქართველთა დაცემული სარწმუნოება კვლავ აღადგინოს და განაცხოველოს. ჩვენი ქვეყნის დიდი ეროვნული საკითხი კვლავ გადაიქცა მართველ წრეების ბჭობის საგნად. ქართველმა მრევლმა ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს და თავის მხრით ყოველი ღონე იღონოს, რომ ეს საკითხი დღეს მაინც ეღირსოს კანონიერ გადაწყვეტილებას.

## ხალხი უსამშობლო და უღმერთო

თავის თავს შეგნებულად არც ერთი ჭკუადმყოფელი არ უმტრობს. რომ ადამიანს ან ზნეობაში შეემატებოდეს რამე, ან გონიერებაში იმ გარემოებით, რომ უკიდურესი რწმენის კაცად თავი მოიტანოს, დღეს მთელს ქვეყნიერობაზე სოციალისტების გარდა სხვა არავინ იქნებოდა. კერძოდ საქართველოში უამრავი გვეყოლებოდა მაღალი ზნეობა-ხასიათისა და მაღალი გონიერების კაცი. ქართველის შობითგანი ნატვრაც ახდებოდა. უდარდელად, ენერგიის დაუხარჯველად ყოველი ჩვენთაგანი პირველი კაცი დადგებოდა. რა ადვილი საქმე იქნებოდა, ღმერთო გვიწყალე, ცოდვილი კაცობრიობის გადახალისება. მაგრამ... ეს სოფელი დაუნდობელია! მოწყალეობის სახით სათნოება და ღირსება, ჭკვა და ცოდნა ქუჩა-ქუჩა არა რიგდება! ოფლია საჭირო ამისათვის, ოფლი! ვინ არ იცის, რომ საქართველოშიც და მის გადაღმაც, ბევრია გრძნობით მახინჯი და გონებით უმწეო იმ ჯარში, რომელიც უკიდურესებისა და სოციალისტებისაგან შესდგება; ვინ არ იცის, რომ სხვაგანაც და ჩვენშიაც არა ერთი და ორი მოიძებნება გრძნობა-საღი და გონება-მთელი პიროვნება, რომელიც ზომიერთა ბანაკში იდგეს და სოციალიზმისა არაფერი სწამდეს. სხვანაირად, რომ ვსთქვათ, ვიდრე სისულელე და უვიცობა ხალხის სატრფიალოდ გახდებოდეს და გონიერება და მეცნიერება დაიგმებოდეს და უარყოფილ იქნებოდეს, ე. ი. ვიდრე ცა დედა-მიწად იქცეოდეს და დედა-მიწა კიდევ ცად, ადამიანის ღირსება მისი პირადი თვისებებით შეიმოწმება და არა უკიდურესობა-ზომიერებით. ეს უნდა ვიცოდეთ, რომ საქმე მუდამ ანბანიდან აღარ დავიწყოთ.

მოვლენათა დამფასებელი და შემცნობია პიროვნება. ეს დაფასება და ეს შეცნობა მით უფრო სწორია და სრულყოფასთან დაახლოვებული, რაც უფრო გონება-მდიდარია, ჭკვამკვეთრი და გრძნობა-ალღოიანი, ვინც ამ მოვლენათ იძიებს და იკვლევს. და რა აზრსაც ერთხელ სწორისა და მართალის ხმა დავარდნია, იგი აზროვნების სავალდებულო ელემენტად გადაქცეულა. ცოდნისა და აზროვნების ადამიანი მას გვერდს ვერ აუხვევს. არ გვსმენია, რომ დღეს ადამიანები ტვინის საზიარო აუზით სარგებლობდენ, რომ ყველას ერთი საზოგადო თავი ჰქონდეს გამობმული; ამიტომ ვერც აზროვნება წარმოგვიდგენია კოლექტიური და ვერც ზნეობა. კარგა ხანია ადამიანის მოდგმა დაშორდა ცელენტერების გვარეულობას და თითეული საკუთარის კუჭით და თავით დაიარება. აზროვნება ყოველთვის ინდივიდისაა, ისე როგორც მოქმედებაც. რა გასაკვირალია, ასეთ შემთხვევაში, რომ აზრისა და ზნეობის ავი და კარგი ავტორს მოეკითხებოდეს. ყოველი წერილიც, თუნდაც „თანამედროვე აზრის“ მოწინავე წერილი, პიროვნული შემოქმედებაა, პიროვნულად ნააზრევია და დალაგებული, კოლეგიაშიც დამუშავებული რომ იყოს; სწორედ ამიტომ ისიც მსჯელობისა და აზროვნების საერთო კანონს უნდა ემორჩილებოდეს და ნაწერის პირველი პასუხისმგებელიც მისი ავტორი უნდა იყვეს.

„აზრი“ არღვევს აზროვნების საერთო წესსა და მეთოდს. ამ გაზეთის ავტორები მუდამ „დემოკრატიის“ „ჭკუით“ სჯიან, თითქოს დემოკრატიას ერთი საერთო თავი ებას და ისინიც, ავტორებიც, ამ საერთო თავის მატარებელი ფეხები იყვნენ! და იბადება ანონიმობა ნათქვამისა, ნაწერისა, იკარგება პასუხის გება, ჰქრება ინდივიდი, ხელში გრჩება მხოლოდ და მხოლოდ აბსტრაქცია. ეს წესი სათავეა მრავალის უბედურობის. ყოველი კერძო მოვლენა და საკითხი კერძო შესწავლის საგანი უნდა იყოს, რადგანაც ყოველთვის ახალი და განუმეორებელი ელემენტი ჩაერთვის იმ გარემოებაში, რომელშიაც ესა თუ ის მოვლენა მოექცევა. საქმე ისაა, თუ რას გვეტყვის გარემოების უნაკლო შესწავლა ამა თუ იმ საკითხის გადაჭრის დროს, საქმე ისაა, თუ რას მოითხოვს, რანაირ გადაწყვეტას იმ პირობათა და მოსაზრებათა მთელი კომპლექსი, რომელშიაც ეს საკითხი ორგანიულად ჩაშენებულა. საქმე ესაა და არა ის, თუ რას გვავალებს დემოკრატია და სოციალიზმი. უგუნურებისა და უაზრობის გამართლება შეუძლებელია, ვინც გინდა იყოს მისი მუშტარი, სოციალიზმი, დემოკრატია თუ როიალიზმი! კაცობრიობის წინსვლა საღი გონებისა და გრძნობის ფუნქციაზეა აშენებული. ამიტომაც, რა განაჩენსაც საღი გონება არ გამოიტანს ამ თუ იმ საკითხის შესახებ, სწორედ ეს განაჩენი უნდა იწამოს და სავალდებულოდ გაიხადოს ყოველმა საღი ჭკუის პატრონმაც! სხვა გზა არა გვაქვს არც წინსვლისთვის და არც საერთო ენის გამოსაძებნად ადამიანთა შორის. ხოლო საღი და მიუკერძოებელი გონების განაჩენი შეიძლება ამა თუ იმ შემთხვევაში სოციალიზმის მოთხოვნილებასაც ამტყუნებდეს და დემოკრატიისასაც. ამიტომ უნდა დავეხსნათ და მოვიშალოთ სოციალიზმის თუ პროგრესის სახელით ან მიხედვით ამა თუ იმ მოვლენის განხილვა. ორივე ცნება ადამიანის ტვინმა შექმნა და ამ სიტყვებით ამავე ტვინის დაბრიყვება ნამდვილი შანტაჟია, რომელიც ადამიანთა კანონით ისჯება. თავისუფალი უნდა იყვეს ადამიანის გონება,—წყარო სიბრძნისა და ჭეშმარიტების,—ამ უაზრო ტყვეობისაგან და ისე იმოქმედოს, თორემ, ღმერთია მოწამე და ჩვენში კიდევ მთელი საქართველო, რომ პროგრესის და დემოკრატიის სახელით ბევრი ისეთი სისულელე და ისეთი დანაშაული იყო ჩადენილი, რომ ავტორები უთუოდ უზენაესს სასჯელს უნდა მისცემოდენ, ამ ქვეყნად ყოველგვარი რწმენა და აზრი მიღებული რომ არ იყოს და სიტყვისა და წერის თავისუფლებაც გამოცხადებული! განა სოციალიზმის სახელით არ იყო, რომ მწუხარ მოსაგონარი შეურიგებელი დასელობა გაავფთრებული ებრძოდა ეროვნულ იდეას საქართველოში? განა დემოკრატიის სახელით არ სდევნიდენ და არ შეაჩვენებდენ საქართველოს ეროვნულ იდეალს, საქართველოს პოლიტიკური უფლების ძიებას?

თვით დასელები ასე ხსნიან ამ ბარბაროსობას, თორემ ჩვენ, ცოდვილნი, ვიტყოდით, რომ ასეთ უგუნურებას სრულებით არ მოითხოვდა არც სოციალიზმი და არც დემოკრატია. იგი შედეგი იყო მათი უკულტურობის, გაუნათლებლობის. გონიერება, ცოდნა და ინტელიგენტობა ამ სამარცხვინო ნაბიჯს ააცილებდა მესამე დასს.

ამას ბევრი მტკიცება არ უნდა. ამას ისიც ამტკიცებს, რომ დღეს ეს სოციალიზმი და ეს დემოკრატია ხელს არ უშლის, რომ ზოგმა დასელმა იწამოს ეროვნულ-კულტურული ავტონომია, ზოგმა ელემენტიც ტერიტორიისა შიგ შეიტანოს. არც გასაკვირია. ზოგმა „ამხანაგმა“ ცოტა მეტი დაინახა, ზოგმა ნახული უკეთ შეითვისა საერთოდ ერთიცა და მეორეც უფრო განათლდა და სცნეს მთელი სიბრიყვე და უგუნურება უმრავლესობისა, და თავისიანებ შორის ფარ-ხმალი დაატრიალეს. კულტურა ძალაში შედის და ბნელი ნელ-ნელა იფანტება. ღირსეული და სათანადოთ განათლებული პირები ამ მიმართულებას რომ იმ თავითვე სათავეში ჩადგომოდენ, სამშობლოს იდეას ასცდებოდა 15 წლის დევნა და წვალება, წამება და შეურაცყოფა. ხოლო ძველის ტრადიციის ძალით, კიდევ დიდხანს იქნება დასელთა შორის სიძულვილი ეროვნული პოლიტიკური იდეალისა და კიდევ დიდხანს გვესმოდეს იქნება მათ ბანაკში საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური უფლების დევნის ხმა. ეს დღესაც ხდება, დღეს, როდესაც ეროვნულმა იდეალმა ყველაფერი შეიწირა.

დიდია მსხვერპლი და ზვარაკი, რომელიც შეიწირა დასელთა უგუნურებამ. გვახსოვდეს უნდა, რომ ეს უგუნურება მუდამ დემოკრატიის და პროგრესის სახელით სადღებოდა!

ამ დღეებშიაც მოხდა „პროგრესისა“ და „დემოკრატიის“ სახელით სამარცხვინო გამოლაშქრება ქართული ეკლესიის უფლების აღდგენის წინააღმდეგ. არც გასაკვირია. ხალხი, რომელიც გუშინ საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურ უფლებას გაბოროტებით ებრძოდა, დღეს საქართველოს ეკლესიის უფლების აღდგენას ეომება. რომ უსამშობლო ხალხს არც ღმერთი აღმოაჩნდა, ვის უნდა აკვირვებდეს! ქართველ დასელობას არ აწუხებს, რომ საქართველოში სარწმუნოება გაიხრწნა და დაეცა. ვინ იცის, იქნებ ეს დიდ პროგრესადაც მიიჩნიოს კიდეც და თავიც მოიწონოს, ჩვენი საქმეა ესაო! ქართველ დასელობას არაფრად ენაღვლება, რომ გავერანდა ივერიის ეკლესია, რომ იგი განიძარცვა სულით და ხორცით. ქართველ დასელობას არც ის ადარდიანებს, რომ ბევრი ძვირფასი ტაძარი დაგვენგრა და წარიხოცა, რომ ბევრი საეკლესიო განძეულობა ხელიდან წაგვივიდა!

მაგრამ ულმერთობასთან ერთად მესამე დასის პროგრამაში არ აღმოჩნდა არც პატივი და არც სიყვარული იმ ჩვენი მკვდრებისადმი, რომელნიც საფლავში განისვენებენ, იმ საქართველოსადმი, რომელსაც ჩვენი წარსული, ჩვენი ტრადიცია ეწოდება და რომლის შექმნაში საქართველოს ეკლესიას უდიდესი როლი უთამაშნია. ათას წლების განმავლობაში საქართველოს ეკლესიაში მხურვალებდა ქართველის სარწმუნოებრივი გრძნობა და ამ წმიდა ადგილას ქართველი, ვაჟი თუ ქალი, აღავლენდა თვის უანგარო ლოცვას და პოულობდა გულისა და სინიდისის შვებას, ჭირსა შიგან გამაგრებას. რომელმა ერთმა ფაქტორმა მიიღო იმდენი გავლენა ქართველის პიროვნების ჩამოქნაში, რომელმა ერთმა

ფაქტორმა უფრო შეინახა შავ-ბნელ საუკუნეთა სვლაში საქართველოს სახე უცვლელ?! აართვით საქართველოს ეკლესიას სარწმუნოება და ნახეთ რაც დარჩება. და დღეს ერთი ორი კაცი „აზრის“ რედაქციაში მჯდომი ჰბედავს ყველაფერი ეს აბუჩად აიგდოს, საქართველოს ეკლესიის უფლების დაცვა სასაცილოდ გახადოს და პროგრესისა და დემოკრატიის სახელით ივერიის ეკლესიის უუფლებობა დაადასტუროს, შეიწყნაროს! „ნუ თუ მართლა ადგილობრივ მრევლებს, ანუ ქართველ ხალხს ამაზე უფრო დიდი საკითხი არ აქვსო“, „პროგრესის“ სახელით „დემოკრატიას“ ამუნათებს „აზრის“ მეთაურის ავტორი“. ამაზე დიდი საქმე, რომელი ნახე, ჩემო მწუხარებავ ავტორო! ნუ თუ დიდ საქმედ ჩასათვლელი არ არის ეკლესია, რომელიც მთელ ქართველობას 1500 წლის განმავლობაში სულს უწვრთნიდა და სახარების მაღალ ზნეობას განუმტკიცებდა? ნუ თუ დიდ საქმედ არ უნდა ჩაითვალოს ქართული ეკლესია, რომელთანაც დაკავშირებულია ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი განათლება, ჩვენი ხუროთ-მოძღვრება, ჩვენი გალობა და ათასი ძვირფასი განძი? რომელი ერთი საქმე შეედრება ამას? და თუ ეს დიდი საქმეა, საყვარელი და საერთო ეროვნული საქმე, როგორ გინდათ იგი დაიცვათ, თუ არ იმ უუფლებობის მოსპობით, რომელმაც იგი მიიყვანა ზნეობრივ და ქონებრივ სილატაკემდე? მაშ, პირველ ყოვლისა საჭიროა ამ ეკლესიის აღჭურვა თავის უფლებით, და ამ უფლებისთვის ბრძოლა, ხმის ამოღება. ღირსეული ერი, რომელსაც თავის თავისთვის წესი არ აუგია და ქვეყნად უფლებამოსილი სიცოცხლე სწყურია, სწორედ ასე მოიქცევა. მხოლოდ ერის ულირსი შვილი გასცემს უფლებრივ სანქციას და ზნეობრივ დასტურს, უქილონ საერთო ეროვნული სარწმუნოების სავანე—წმიდა ეროვნული ეკლესია!..

აი რა უნდა გააკეთოს დღეს ღირსეულმა ქართველმა საქართველოს ეკლესიისათვის. და არა ისა, რომ სთქვას: „დემოკრატიის ინტერესია ეკლესია სახელმწიფოს ჩამოაშოროსო“. ჰა ეს წყეული და შეჩვენებული ბ-ნი შაბლონი! დიდია ძალა შენი და შენ ხარ უდიდესი მტერი ჩვენი ქვეყნის დემოკრატიისა და პროგრესისაც! უფლება-ახდილო მონავ, ჯერ იმაზეც უნდა იზრუნო, რომ სისრულით აღადგინო შენი ცხოვრება, ჯერ იქონიე უფლება-მოსილი შენი ეკლესია და შენი სახელმწიფო და მერე ჩამოაშორე ერთი მეორეს! რისი ჩამოშორება შეიძლება როცა არც ერთი გექნება და არც მეორე?!

ასეა, არ კმარა მარტო „პროგრესის“ და „დემოკრატიის“ სახელით ლაპარაკი. ეს სიტყვები ადამიანს ვერც ჭკუით გაამდიდრებს და ვეც გრძნობით. ამ სახელით ჩაგიდენიათ ბევრი სისულელე, რომელიც ხალხს ძვირად დაჯდომია და კვლავაც ბევრს ჩაიდენთ. საჭიროა განათლება და კულტურა. თორემ ძველის გზით თუ იარეთ, და ძველის საბუთებით თუ ასაბუთეთ მოქმედებანი, მორიგ არ-გაგონილ უგუნურებამდე მიაღწევთ. მართლაც, ენისთანა ტრადიციის დამცველი იარაღი მეორე არ მოიპოვება. და ენის წინააღმდეგ „დემოკრატიის“ და „პროგრესის“ სახელით კამპანიის დაწყებას უნდა მოველოდეთ. განა ცოტა ქართველი რეაქციონერი ლაპარაკობს ქართულს? ქართული ენის ბრალია, რომ ქართველ რეაქციონერებს საშვალება აქვთ ლაპარაკისა, პროპაგანდისა წერისა, მაშასადამე, ხალხის დაბრიყვებისა: „პროგრესისა“ და „დემოკრატიის“ სახელით, აბა ერთი ჯვაროსანი ომი ქართულ ენას!

ღმერთო მაღალო, ამასაც შემასწარ, თუ ეს საკვირველებათა დასასრული იქნება!..

ძველი ქართველი.

## ჩვენი ბანკები და კოოპერაცია

1

ხმა დავარდა, რომ მოსკოვის სახალხო ბანკი ჩვენში განყოფილების გახსნას აპირებსო და შეიქმნა დაობა იმის შესახებ, თუ რამდენად საკმარისი და სასარგებლო იქნება ეს განყოფილება კრედიტის საჭიროების სრულ დასაკმაყოფილებლათ. ჩვენში ჯერ-ჯერობით საკმაოთ გავრცელებულა წვრილი კრედიტი და კოპერაცია და შემდეგში კიდევ მეტი გავრცელების ტენდენცია ეტყობა, მაშასადამე, კრედიტის მოსაპოებლად ეხლავე უნდა ვიზრუნოთ. მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილების გახსნა ჩვენში ჯერ-ჯერობით საეჭვოა,—მოსკოვიდან თბილისამდე დიდი მანძილია და მათ შვა ბევრი გუსერნიებია, რომელთაც საკოოპერაციო კრედიტი ეჭირვება. რომ კიდეც გაიხსნას ეს განყოფილება, საკოოპერაციო კრედიტის მოთხოვნილებას სავსებით ვერ დააკმაყოფილებს, რადგან ამ განყოფილებას ამისათვის არც ნაღდი ექნება საკმაოდ და არც სურვილი,—განყოფილების მთავარი გამგენი და მბრძანებელნი ჩვენი ხალხისთვის უცხო იქნებიან და ჩვენზე ერთობ დაშორებულნიც. მაშასადამე, უნდა მივმართოთ ისევე ჩვენ შინაურ საშვალებას.

აქ უპირატესობა უნდა მიენიჭოს **„თბილისის საურთიერთო სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო საზოგადოებას.** ეს ბანკი დაარსებულა 1895 წ. და სწორედ იმ მიზნით, როგორც სახელიდანა სჩანს, რომ დაჰხმარებოდა სოფლის მეურნეობას. მაშინ ამ ბანკის დამაარსებელნი და ჩვენი საზოგადოებაც იმ აზრისანი იყვნენ, რომ ჩვენ ვაჭრობა-მრეწველობის უნარი არა გვქონდა, რომ ჩვენ, მიწის მუშები ვიყავით, და ამიტომ სოფლის მეურნეობისთვის ხელი უნდა შეგვეწყო და გაგვეძლიერებინა. ამ აზრით დაარსდა ბანკი. ეხლა გადავათვალიეროთ, რამდენადაც შეასრულა იმან თავისი დანიშნულება ამ მხრივად? ამ ბანკის ბალანსი მალე ავიდა ერთ მილიონამდე და იქ ცოტა შეჩერდა, ზრდა დაიწყო 1912 წლიდან და ეხლა 1915 წლის ანგარიშით არის თითქმის ორი მილიონი—1,993,223 მ. ეს თანხა ბანკს 1915 წ. 1 იანვრისათვის ჰქონია დარიგებული, ამ გვარად კასაში ნაღდი ფული 55,968 მან., სხვა და სხვა ბანკებში გაბარებული 490,413 მ. სარგებლიანი ქაღალდები 68,803 მ., დახურდავებული და განაღდებული თამასუქები 726,515 მ., ე. წ. სოლო-ვექსილი სასოფლო მამულის გირავნობით განაღდებული 2426 მ. სარგებლიან ქაღალდების გირავნობით გაცემული სესხი 231,856 მ. ეს არის მთელი აქტივი ჩვენი **სასოფლო-სამეურნეო** ბანკის უკანასკნელ წლის ანგარიშით. მკითხველი თვითონ დაინახავს, რომ სასოფლო მეურნეობის საჭიროებისათვის ბანკს გაუცია სესხათ 2,426 მ. და ეს თითქმის ორი მილიონი ბალანსიდან. და ეს კიდევ დიდი თანხაა,—აიღეთ რომელ წლისაც გნებავდეთ ანგარიში და გადაათვალიერეთ, თქვენ დაინახავთ, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტი ამ ორი ათასი მანეთამდეც ვერ ააღწევს. მაშასადამე ჩვენი ბანკი ყოფილა არა სასოფლო-სამეურნეო, არამედ—ჩვეულებრივი საურთიერთო საკრედიტო საზოგადოება, და ჩვენც ამის მიხედვით გადავავლოთ თვალი მის მოღვაწეობას.

ანგარიშის მეხუთე გვერდზედ მოყვანილია ცნობები წევრების შესახებ, საიდანაც სჩანს, რომ 1914 წ. წევრების რიცხვი ყოფილა 1,454, ამ რიცხვიდან ვაჭარნი და მრეწველნი ყოფილან 199; 1915 წ. სულ წევრების რიცხვი იყო—1,445 და ვაჭარ-მრეწველნი —184, ე. ი. ვაჭარნი და მრეწველნი შეადგენენ 12—15 პროც. მთელი რიცხვის. ხოლო ეს ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენ მომავალ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის ხათრით, თორემ ძველათ სულ სხვა იყო,—გადაშალეთ 1910 წლის ანგარიში და დაინახავთ, რომ ვაჭართ რიცხვი 60 არ აღემატება და შეადგენს სულ 5 პრ. დანარჩენი წევრები სულ სხვა და სხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულების მოსამსახურენი არიან, ან კიდევ ვექილი და ექიმები. მართალია, უამათოდ საურთიერთო საკრედიტო საზოგადოება არ მოხერხდება, მაგრამ ეს ელემენტი ბანკს ბალასტათ მიაჩნია. ბანკი სცოცხლობს და სცხოვრობს ვაჭრებით და მრეწველებით. იმათ გააქვთ სესხი, მაგრამ კიდეც მოაქვთ უკანვე თავის დროზე და გარდა ამისა თავის ნაღდ ფულს ბანკშივე ინახავენ, რაც ბანკისათვის ძალიან საჭიროა. დანარჩენი წევრები კი სესხს ვადაზედ ვერ უბრუნებენ და გაჩაღდება თამასუქების გამოცვლა. ან როგორ გადაიხადოს თავის დროზე ახალგაზდა ექიმმა ვალი, რომელიც მაგ. კაბინეტის მოსაწყობათ აუღია?! ასეა ყოველგან და არა მარტო ჩვენში, მაგრამ სხვაგან ვაჭართ და მრეწველთ საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებიდან არ ერეკებიან, პირიქით, ეხვეწებიან შემოდი და დაგვეხმარეო.

ბ. გ.

## მივიწყებული მოვალეობა

ახირებული ხალხი ვართ ქართველები! ზოგ შემთხვევაში გადაჭარბებაც ვიცით, ხოლო ზოგჯერ მურვან-ყრუობა გვიყვარს. შეუდარებელნიც ვართ მიცვალებულთა პატრონობაში, ცოცხლებისთვის-კი დიდათ არ ვიწუხებთ თავს.

არ შემიძლია საყვედურით არ მივმართო ქართველ საზოგადოებას იმ გულგრილობისათვის, რაც მან ჩვენის მხცოვან მწერალ-ქალის ნინო ორბელიანისადმი გამოიჩინა. ეს პოეტი-ქალი ორმოცდაათ წელიწადზე მეტია შეძლებისდაგვარად თავის წვლილს სწირავდა ქართულ მწერლობას. მართალია, სოციალურ მოტივების მღერალი არ არის, მაგრამ ნ. ორბელიანისას ბევრი ისეთი ლექსი აქვს, რომელშიაც უტყუარად გამოსჭვივის წრფელი სიყვარული თავის ერისა, სილამაზე მგოსნის მომხიბლავ სამშობლოსი, მისი ქებათა-ქება...

ამ მცირე წერილში ადგილი არ არის საფუძვლიანად შევეხოთ კნ. ორბელიანის ნაწერთა აწონ-დაწონვას. ამ წერილით მსურს მხოლოდ მოვაგონო საზოგადოებას მივიწყებული მოვალეობა.

ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს ამ მგოსან-ქალს, რომლის უმწეო მდგომარეობა არა ერთხელ იყო გაზეთებში აღნიშნული, მაგრამ ჩვენ უმეტეს შემთხვევაში გვიყვარს ყურის მოყრუება და ასე მოვექეცით ნინო ორბელიანისასაც: მივაფუჩეჩეთ ის, რაც ჩვენს მოვალეობას შეადგენს. დღეს ლონე-მიხდილს, ჯან-გატეხილს მოხუც მგოსანს სასტუმროსათვის შეუფარებია თავი და, ვინ იცის, ერის ღრმად მოყვარული გული იქნება არა ერთხელ აღევსება ბოღმით, ჩვენს უმადურობას რომ წარმოიდგენს...

თუ კი მან ორმოცდაათ წელზე მეტს ერის სიდიდებლად აჟღერა თავის გულის ნაზი სიმები, ნუ თუ ჩვენ ისე დავკნინდით, რომ ვერ შევძლებთ ღირსეულად მოვიხადოთ მამულიშვილური ვალი ამ ნაამაგდარ ადამიანის წინაშე, შემოვკრბეთ მასთან და მადლობა მოვახსენოთ?

იმედი მაქვს განსაკუთრებით ჩვენი მოწინავე მოღვაწე ქალები გამოეხმაურებიან ამ ჩვენს წერილს და საერთო ძალით შევძლებთ მგოსნის პატივსაცემ დღის გამართვას. ამით ჩვენს ვალსაც მოვიხდით და სნეულ მწერალ ქალსაც ცოტაოდნად მაინც შევუმსუბუქებთ ცხოვრების მწვავე პირობებს.

განდეგილი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

მთავარი შტაბი გვატყობინებს, არც აღმოსავლეთ ასპარეზზე და არც კავკასიის ბრძოლის ველზე არაგითარი ცვლილება არ მომხდარაო. ჩვენ, რასაკვირველია, ეს ცნობა ისე კი არ გვესმის, ვითომ ბრძოლა სრულებით დაცხრა და მოპირდაპირენი გულხელდაკრეფილნი ერთმანეთს უყურებენ. ყოვლად შეუძლებელია, რომ ან გალიციაში, ან კავკასიაში, იმის შემდეგ რაც მოხდა, უცბად, მოულოდნელად მყუდროება დამყარდეს. წარმოუდგენელია რუსების გაჩერება იმ მოსაზრებით, რომელიც ახლა დამყარდა გალიციაში. არც ერთი მოპირდაპირე არ გადიტანს ბრძოლას მტრის ბაზის სიახლოვეს და იქ არ გაჩერდება, არ დახანდება, რადგან მოპირდაპირეს საშუალება ეძლევა ამ ბაზით უფრო ხელსაყრელად ისარგებლოს და ყოველ წამს საშიშ მდგომარეობაში ჩააგდოს შემოსეული მტერი. ასეთი მდგომარეობაა რუსეთის ბრძოლის ველზე. როგორც ვიცით ბრუსილოვის არმია ერთი წვერით მიადგა კოველს, რომელიც, როგორც ვიცით, მეტად დიდმნიშვნელოვანი საკვები ბაზაა, ცენტრით კიდევ ლვოვს. ამ ქალაქის მნიშვნელობაც ყველამ უკვე კარგათ იცის. ცხადია, მოპირდაპირეს საშვალება ეძლევა ძალიან სწრაფად ისარგებლოს მთელი წყება რკინის გზებით, ზედ ბრძოლის ხაზზე გადიყვან-გადმოიყვანონ ჯარი და ოპერაციას ისეთი მიმდინარეობა მისცეს, როგორც მასა სურს. სულ სხვაა, როდესაც ამ ბაზებს გერმანელები და ავსტრიელები დაჰკარგვენ. ბაზა დაჰშორდება ჯარს და ოპერაციაც დაჰკარგავს სისწრაფეს და გაბედულობას. მაშასადამე, რუსის მხრივ კამპანია დამთავრებული არ იქნება, თუ ეს ორი მთავარი საკვები ადგილები მტრის ხელში დარჩება.

ასეთივე მდგომარეობაა თითქმის კავკასიის ბრძოლის ველზე. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ოსმალებმა თითქმის ეს ორი კვირაა რაც შეტევა დაიწყეს. აიძულეს სუსები დაეტოვებინათ მუშ-ბითლისი და ბრძოლა უფრო ჩრდილოეთით გადმოიტანეს. თუ რუსეთის ჯარს კიდევ უკან დახევა მოუხდა მაშინ ხასან-კალა განსაცდელში ვარდება. ამ ქალაქს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ რუსეთის მხედრობა ყოველ ღონეს იხმარს და ოსმალებს აქედან განდევნის, რადგან შეუძლებელია რაიმე ოპერაცია აწარმოვო მაშინ, როდესაც ამ მხრიდან უზრუნველყოფილი არ იქნება. ასეთივე მდგომარეობაა სპარსეთში. ცხადია, ბრძოლის ველზე ჩამოვარდნილ მყუდროებაზე ლაპარაკიც ჯერ-ჯერობით ზედმეტია. ბრძოლა უთუოდ გრძელდება და რა შედეგიც მოჰყვება ჩვენ მალე გავიგებთ.

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი,** 4 მარიამობისთვე. ოფიციალი. მთავარი შტაბის მოხსენება. დასავლეთი ფრონტი. ფრონტის გასწვრივ საარტილერიო და განუწყვეტელი თოფის სროლაა. ადგილ-ადგილ გერმანელებს კონტრ-იერიშები მიაქვთ, თუმცა ყველას იგერიებენ. კემერნის რაიონში, რიგის დასავლეთით, ცეპელინი გამოფრინდა და ყუმბარები ჩამოჰყარა. დამატებითი ცნობის თანახმად გენერალ ბეზობრაზოვის ჯარებმა უკანასკნელი ოპერაციის დროს წამოიყვანეს 148 აფიცერი და 7308 ჯარისკაცი, 29 სუმბუქი და 17 მძიმე ზარბაზანი, 70 ტყვიის მფრქვეველი, 29 ყუმბარისმფრქვეველი და 14,000 ზარბაზნის ტყვია. ეს რიცხვი უნდა მიემატოს 3 მარიამობისთვის ბილიუტენებში გამოუცხადებელ დავლის ნუსხას.

**კავკასიის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

**პარიზი,** 3 მარიამობისთვე. სალამოთი მოსული ოფიციალი ცნობა. სომას ფრონტზე დღისით საარტილერიო სროლის შემდეგ გავილაშქრეთ და საკმაო წარმატება ვნახეთ. მორეპის ჩრდილოეთით ფრანგებმა და ინგლისელებმა 1500 მეტრის სიგრძეზე გერმანელთა რამდენიმე თხრილი აიღეს. ზოგან გილლემონი-მორეპის გზასაც კი მიაღწიეს. ამ სოფლის სამხრეთით ორ კილომეტრის სიგრძეზე და 300—500 მეტრის სიღრმეზე სასტიკი ბრძოლის შემდეგ ფრანგებმა აიღეს გერმანელთა თხრილები. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. სომის სამხრეთით გერმანელთა თხრილების აღების შემდეგ ფრანგებმა ტყვედ წაიყვანეს 60 კაცი. დანარჩენს ფრონტზე საარტილერიო სროლაა.

**ჰავრი,** 3 მარიამობისთვე. დიქსმიუდესთან მკვირცხლი საარტილერიო სროლაა.

**რომი,** 4 მარიამობისთვე. მონტეგეჩინკის ფერდობებზე იტალიელთა ქვეითმა ჯარმა აიღო ავსტრიელთა თხრილები. ტყვეთ წამოყვანილია 360 კაცი, მათ შორის 11 აფიცერი. დანარჩენს ფრონტზე მორიგი იერიშები მოგერებულ იქმნა.

**ლონდონი,** ოფიციალი. პოზიერის მიდამოების გარდა, სადაც ქვეითა ჯართა პატარ-პატარა შეტაკება მოხდა, შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

## უკანასკნელი დეპეშები

ბალტიის სანაპიროზე დაპყრობილ ადგილებში გერმანელები მოსავალს მკრეფენ. სამუშაოზე გერმანელებს მხოლოდ რუსი ტყვეები გაჰყავთ.

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან, ვილჰელმი ხელ-ახლად დასავლეთის ფრონტზე წავიდა და ბატონიშვილის ჯარი დაათვალიერაო.

—

აღიძრა საკითხი იმის გამო, რომ ტრაპეზონის სამიტროპოლიტო, რომელიც ამ ჟამად კონსტანტინეპოლის პატრიარხს ექვემდებარება, რუსეთის სინოდს დაუქვემდებარონ.

—

გასულ წელს ინგლისში სამხედრო მასალების შესამზადებლად ქარხნებში მუშაობდა 635 ათასი კაცი, წელს კი ეს რიცხვი 2,250 ათას კაცზე ავიდა.

—

ჩენციატინში აჯანყება ფართო ხასიათს იღებს. ჩინელი ჯარის კაცები იაპონელთა ყაზარმებს ანგრევენ და იერიშები მიაქვთ მათ ჯარის კაცებზე. იაპონიის სამხედრო სამინისტროს მიერ გაგზავნილი მაშველი ჯარი ჩინელთა შეიარაღებულმა მეამბოხეებმა მოსპეს. ამბობენ, იაპონელთა ორი ქვეითა რაზმი მთლად მოსპესო.

—

„ქ. სლოვოს“ ატყობინებენ: სომეხთა ცენტრალ კომიტეტს ატყობინებენ, რომ ვანის ოლქის ყველა მცხოვრები, რიცხვით 15 ათასამდე ჩრდილოეთით ფასინის ველისკენ წამოსულა. ქ. ბაშქეიში ამ ჟამად 10,000 ვანიდან გამოქცეული იმყოფება. ქ. ნუშის მცხოვრებნი ხნის-დიადინილდირის გზით წამოსულან და ნაწილი კი ფასინ-სარიყამიშის მიმართულებით. სომეხთა ადგილობრივი კომიტეტი შეუპყრიათ. წამოსვლა ვერ მოუსწვრია აგრეთვე მცხოვრებთა ნაწილს და მათ შესახებ არაფერი ცნობა არ არის. ნუშიდან გამოგზავნილი ტრანსპორტი დაკარგულა. აგრეთვე იტყობინებიან, რომ გადმოხვეწილთა ტალღა ხოიდან ჯულფისაკენ მოდისო.

—

ანტალოფრანს მეგობრისადმი მიწერილს ბარათში სხვათა შორის უთქვამს: საფრანგეთში ყველა პარტიები—სოციალისტები, ნაციონალისტები თუ რადიკალები ერთის აზრით არიან გამსჭვალულნი: ევროპის განთავისუფლებით. ჩვენ, ფრანგები, ვიბრძოლებთ საბოლოო გამარჯვებამდე! თუ ფრანგები მოჰხიბლა ნაადრევ ზავის მაცდურებამ, მე მოვითხოვდი, რომ პარლამენტმა სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადოს პირველი მისი მსურველიო.

## ახალი ამბავი

**ფქვილის კრიზისი ქუთაისში.** ქუთაისს საშინელი ფქვილის კრიზისი ელის. ამის გამო ქალაქის თავმა ი. მ. ჩიქოვანმა დეპეშით აცნობა მეფის ნაცვლის უფროს გენ.-ლ. თ-დ ორლოვს, თუ ბეჯითი დახმარება არ აღმოგვიჩინეთ, მაშინ ხალხის წინაშე ყოველ პასუხისმგებლობას ვიყრითო. სწრაფი განკარგულების შემდეგ ქუთაისში ერთი ვაგონი ფქვილი გაეგზავნა და თანაც შეჰპირდნენ შემდეგშიც შესაფერს ზომებს მივიღებთ კრიზისის თავიდან ასაცილებლადაო.

**გენერალი პო,** 4 მარიამობისთვეს ბათომის მატარებლით თბილისიდან გაემგზავრა რუსეთს.

**მაჰმადიანთა საზოგადოება.** თბ. გუბერნატორის წინაშე თბ. მცხოვრებ მაჰმადიანებმა შუამდგომლობა აღძრეს მომხმარებელ საზოგადოების დაარსების შესახებ. ამ ახალ საზოგადოებას სახელად „დახმარება“ ერქმევა.

**პრინც ოლდენბურგელმა** დეპეშით მოახდინა განკარგულება, რომ საავადმყოფოებში მყოფ დაჭრილ და დაავადებულ ჯარისკაცთ ოთხშაბათპარასკევობით თევზი აძლიონ საჭმელად, ხოლო დანარჩენ დღეებში ხორცეულობა.

**უწმ. სინოდმა** სასინოდო კანტორას მოწერილობა გამოუგზავნა, თელავის სასულიერო სასწავლებელთან სემინარიის კლასების დაარსების შესახებ. ეს მოწერილობა განსახილველად კანტორამ გადასცა თელავთიანეთის სამღვდელოების კრებას.

**მოპარული საქონელი.** მაძებარ პოლიციამ თბილისში მომხდარ მაღაზიების თავდასხმის დროს ნაპარი საქონელი აღმოაჩინა რამდენიმე ალაგას: 1) ივ. ამზიევის ბინაზე, ინჟინრის ქუჩაზე № 9, აბრეშუმის ნაჭერი 25 არშინი და „კაზიმირის“ ნაჭერი 29 არშინი. ეს ფართლეული ვინმე საფაროვს მილოვის მაღაზიიდან გაეტაცნა და ამზიევისთვის მიეყიდნა. საფაროვი გამომძიებელს გადეცა. 2) კანონირის ქუჩაზე № 18, ვალიანსკის ბინაზე, 13 ცალი ფარდა, 11 არშინი ქიშმირი აღმოაჩინა პოლიციამ მილოვის მაღაზიიდან გატაცებული კავკაველ მოქალაქე ქალ კრეპსოვის მიერ; კრეპსოვის ქალი დაპატიმრებულ იქმნა.

**სასოფლო სამეურნეო აღწერილობა** თბ. გუბერნიაში, ყველგან დამთავრდა. ქუთაისის გუბერნიაში მხოლოდ ლანჩხუთისა და რაჭის მაზრები დარჩა, აქაც აღწერილობა ამ დღეებში მოთავდება. სოხუმის ოლქში აღწერილობა 15 აგვისტოს მორჩება.

**დაჭრილები.** ბრძოლის ველიდან ჩამოიყვანეს და საავათმყოფოებში მოათავსეს: პოდპორუჩიკი გ. ბ. მჭედლიშვილი, კოლეჟ. რეგისტრ. ვ. ს. ბურჭულაძე, ტელეგრაფის მოხელე ნ. ა. დათიაშვილი, პრაპორშჩიკები: ქ. მ. დანელია, გ. ბ. ლატაძა, ს. ვ. სალირაშვილი და დ. თ. ჩოჩუა.

**სააგარაკო საზოგადოებაში.** თვის უკანასკნელ სხდომაზე სააგარაკო საზ. გამგეობამ მოისმინა მოხსენება განსაკუთრებულ კომისიისა, რომელიც ბორჯომს იყო ამ აგარაკის შესასწავლად. კრებამ ბორჯომი ერთხმად იცნო პირველ ხარისხოვან აგარაკად, როგორც სასმელ წყლების მხრივ—ისე საწამლებლად. კრებამ დაადგინა ეროვის ბორჯომის კომისიას ამავე საზოგადოებისას, დაწვრილებით გამოარკვიოს დანიშნულებანი ბორჯომისა როგორც პირველ ხარისხოვან აგარაკისა და მოკლე ხანში წარუდგინოს ამ საზოგადოების საბჭოს განსახილველად.

**მასწავლებელთა საზოგადოება.** 3 მარიამობისთვეს თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელთა საზოგადოების მთავარ გამგეობას კრება ჰქონდა. კრებამ დაადგინა დაარსოს საზოგადოების განყოფილება დაბა ცხინვალში. შემდეგ კრებამ განიხილა პროექტი ინსტრუქციისა განყოფილებათათვის და მოიწონა იგი, მხოლოდ შიგ ცოტაოდენი ცვლილება შეიტანა და დაადგინა: დაბეჭდოს ეს პროექტი და განყოფილებებს დაუგზავნოს სახელმძღვანელოდ მომავალ საზოგადო კრებამდე, რომელმაც ეს ინსტრუქცია უნდა განიხილოს და დაამტკიცოს. გამგეობამ შემდეგ დაადგინა: მოწვეულ იქმნას ენკენისთვის პირველ რიცხვებში გამგეობისა და სექციების საზოგადო კრება, რომელმაც უნდა შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა მომავლისათვის და განიხილოს სექციათა სახელმძღვანელო ინსტრუქციის პროექტი. აგრეთვე დადგენილ იქმნა დაიბეჭდოს საზოგადოების წესდების 500 ცალი. დასასრულ, კრება შეეხო ქართულ გიმნაზიაში მომხდარ ინციდენტს 2 მასწავლებლის დათხოვნის გამო და დაადგინა გამოიტანოს თავისი რეზოლიუცია ამ მოვლენის გამო და დაბეჭდოს იგი ადგილობრივ ქართულ-რუსულ-სომხურ გაზეთებში. ამ რეზოლიუციის შემუშავება გადაიდვა მეორე დღისათვის (4 მარიამობისთვისათვის).

**ხოლერა.** 5 მარიამობისთვეს, დილის 8 საათზე, ქალაქის ლაზარეთში № 40 იყო 10 ხოლერიანი და 1 კაცი ხოლერის ნიშნებით. ხოლერიანთა შორის არის 1 ჯარის კაცი, განმანაწილებელ პუნქტიდან მიყვანილი. თინათინა წამალაშვილი, სოფ. გლდანიდან მიყვანილი, 4 ამა თვეს გარდაიცვალა.

**განახლება საზოგადოების მოქმედებისა.** 1906 წელს თბილისში დაარსდა ურთიერთშორის დამხმარე საზოგადოება სასტუმროებისა, რესტორანებისა, სასადილოებისა, საჩაიებისა, საკანდიტეროებისა და სხვ. პატრონთა. ამ სიმპატიურ საზოგადოებას სიცოცხლე ეტყობოდა და კარგად იმუშავა 1912 წლამდის, მაშინ კი სრულიად უმიზეზოდ მუშაობა შესწყვიტა. მხოლოდ წარსული მკათათვის შუა რიცხვებში განახლდა საზოგადოების მოქმედება. ძველმა გამგეობამ გადასწყვიტა მომავალ ენკენისთვის 4-ს მოიწვიოს საზოგადოების წევრთა საერთო კრება. ამ კრების საგანია შეასწოროს და შეავსოს წესდების რამდენიმე მუხლი, განიხილოს წარსული ანგარიშები და მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა და აირჩიოს ახალი გამგეობა და სარევიო კომისია.

**დამალული საქონლის აღმოჩენა.** 5 მარიამობისთვეს ავლაბარში, კონსტანტინოვის ქუჩაზე, ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო ნაწილის ზედამხედველმა სეუმიანცმა აღმოაჩინა იაკობ გევორქოვის დუქანში 70 ფუთი კარტოფილი. 4 მარიამობისთვეს და გუშინ, მეორე ზედამხედველმა ტრუხაჩევის ქ-ლმა დესიმონოვის ქუჩაზე, სხვა და სხვა დუქნებში აღმოაჩინა კარტოფილი 12 ფუთი, საპონი 6 ფუთი, ყველი და 200 კვერცხი. საქონელი პატრონებს ჩამოერთვათ და მცხოვრებლებზე ნიხრის კვალობაზე გაიყიდა.

**ექიმი გ. ელიავა** მიწვეულ იქმნა ტრაპიზონის ბაქტერიოლოგიურ რაზმის უფროსად. ბ-ნი ელიავა ამ რამდენიმე დღის წინად ტრაპიზონისაკენ გაემგზავრა.

**ქართულ სასოფლო-სამეურნეო** საზოგადოების საბჭომ დაადგინა ოთხ მარიამობისთვეს: 1) რადგან წევრების გამო წინად არ მოხერხდა საგურამოში წასვლა, ხელახლა დაევალოს საბჭოს წევრებს ბ-ნთ ს. ყაზახ შვილს, ვ. რცხილაძეს და პ. მელიას წავიდნენ საგურამოს და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან ჩაიბარონ საიჯაროდ აღებული ილიასეული მამული და მოძრავი ქონება; 2) საზოგადოების მამულის საზღვრების შესასწორებლად იყალთოში შეძენილ იქმნას მომიჯნე გლეხებისაგან რამდენიმე დესეტინა მამული; 3) 20 მარიამობისთვის შემდეგ 1 ენკენისთვემდე იყალთოს წავიდეს საბჭოს რამდენიმე წევრი და თავ. დ. ი. მაყაშვილთან, რომელმაც საზოგადოებას მამული შემოსწირა, ფორმალურად დაამთავროს საქმე. დასასრულ, წაკითხულ იქმნა ინსტრუქტორი გორთამაშვილის მოხსენება, რომლის შინაარსი უკვე დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში.

**გორი.**

დღეს, შაბათს, 6 მარიამობისთვეს გორში, ქალაქის საკრებულოს საზაფხულო შენობაში, ქართველ მსახიობთა მიერ, ტასო აბაშიძის, ვ. გუნიას, ალექს. იმედაშვილის და სხვათა მონაწილეობით გაიმართება მხიარული საღამო და წარმოდგენილ იქმნება ოთხი მინიატურა ვოდევილი „ქარიშხალი", „გამჭრიახი ქმარი", „ლოკოკინა" და „გამარჯვებულებს არა სჯიან".

**დ. ჩოხატაური.**

კვირას, მკათათვის 31-ს ღამის 10 საათზე, ოთხი შეიარაღებული პირი თავს დაესხა სპირიდონ მეგრელიშვილის ოჯახს, რომელშიაც ოთხი ქალი და თვით მოხუცი სპირიდონი იყო; შეიარაღებულებმა ფული მოსთხოვეს. როდესაც ქალებმა ყვირილი დაიწყეს, ერთმა თავდამსხმელთაგანმა, ალბად შესაშინებლად, რაღაცა წამალი აუფეთქა. ამავე დროს უკანა ოთახში მყოფმა სპირიდონმა ყვირილი ასტეხა, და შეშინებული თავდამსხმელნი სახლს სროლით მოსცილდნენ. ამ სპირიდონის შვილი იყო ის მეგრელიშვილი, რომელიც ამას წინად სტრაჟნიკებმა მოჰკლეს,—და, ამბობენ, იმის ამხანაგები იყვნენ იმისავე დატოვებულ ფულის წასაღებადაო.

— ადგილობრივი აფთიაქი ჩამოართვეს ალ. გეგიძეს და გადასცეს ვიღაც ჩიგოგიძეს. ამის გამო ხალხი მწუხარებას გამოსთქვამს, ალბად იმიტომ, რომ გეგიძეს პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული.

**აბასთუმანი.**

აბასთუმანში ჩამოსულა ბაქოელი სტუდენტი და ერთი ქალი. 28 მკათათვეს დღისით თორმეტ საათზედ სეირნობის დროს თავს დასხმიან ყაჩაღები (ცხრა კაცი) ქალს ნამუსი აჰხადეს და შემდეგ გაშიშვლებული ქალი უკან გამოუშვეს. ქალს ენა ჩავარდნოდა. სტუდენტი მარტიროსოვი გაიტაცეს. პოლიცია გაცხარებით დაეძებს ყაჩაღებს, მაგრამ ვერ უპოვია.

**დ. ზესტაფონი.**

მკათათვის უკანასკნელ რიცხვებში ზესტაფონის საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილების გამგეობამ მიიღო ქ. თელავიდან თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისაგან ორი ვაგონი სიმინდი, რომელიც გაიყიდა მანეთად და თერთმეტ შაურად ფუთი; ერთი ვაგონი კარგი იყო, მეორე კი დაბალი ხარისხისა.

— აქ მეორე კოოპერატივი, „გლეხთა კავშირი", რომლის ისტორია „საქართველოს" მკითხველებმა იციან, უკვე გაიხსნა და დაიწყო მუშაობა. ერთის მაგიერად ორია, ესეც პროგრესი!!.

# ავტოკეფალიის გარშემო

გუშინ წინ ჩვენს გაზეთში შემოკლებით იყო გარდმოცემული პეტრ. გაზეთის „დენის" აზრი ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ. ახლა მოგვყავს იგივე წერილი (მოგვყავს შეუმოკლებლივ).

„სინოდის სფეროებში მოელიან ობერ-პროკურორის კავკასიიდან დაბრუნებას, რათა შეუდგნენ ქართულ საეკლესიო საკითხთა გარდაწყვეტას. მას შემდეგ რაც პეტრესქალაქის მიტროპოლიტად დაინიშნა პიტირიმი, საქართველოს ავტოკეფალიის საკითხი ქართველთათვის სასურველ ნიადაგს ჰპოულობს. მიტროპოლიტმა პიტირიმმა თავის წინამორბედ ექსარხოსთა წინააღმდეგი შეხედულება მიიღო კავკასიაში მსახურების დროს და გულწრფელად მიემხრო ქართული ეკლესიის თვითმყოფელობას, რითაც სრულიად შესცვალა სფეროებში მანამდის არსებული შეხედულებანი.

აქამდის თვით ლაპარაკი ავტოკეფალიაზე და ქართული ეკლესიის ავტონომიაზე დიდ ლიბერალიზმად ითვლებოდა. 1906 წლის საეკლესიო ყრილობის წინასწარ ბჭობაში ქართულმა საკითხმა დიდი დავა გამოიწვია ავტონომიის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. კამათში მონაწილეობდა სხვათა შორის ვასტორგოვიც. ქართველებმა წარმოადგინეს ვრცელი მეცნიერულ-ისტორიული საბუთები თავიანთ დებულებათა დასაცავად, მაგრამ მოწინააღმდეგეთა შეურიგებლობა მაინც ვერ დასძლიეს. ბჭობისა და მოხსენებათა ოქმებისაგან თითქმის ერთი დიდი ტომი შეადგინეს, მაგრამ გათავდა ყრილობა და საქართველოს ეკლესიის საკითხიც მიაგდეს, მიივიწყეს. მხოლოდ გარემოებათა ბედნიერმა შემთხვევამ გამოაცოცხლა ქართველთა ეროვნული იმედები.

სინოდის ობერ-პროკურორის მოგზაურობას საბოლოოდ უნდა გამოერკვია ქართული გარემოებანი, რათა მასალა მიეწოდებინა სინოდის მომავალ სხდომებისა...

ცხადია, ავტოკეფალისტების მიერ მოყვანილ საბუთებიდან ყველაზედ უფრო დასაჯერი სწორედ თანამედროვე ცხოვრების ფაქტებია.

ისტორიული გამართლებანი კი, რომელთაც ეძიებენ ქართველთა მეცნიერები, მხოლოდ საეჭვო საფუძველს ემყარებიან.

ვთქვათ, საქართველოს ეკლესია ოდესღაც დამოუკიდებელი იყო და როგორც საზოგადოდ საქართველო, თავის ნებით შეუერთდა რუსეთის ეკლესიას.

მერმე რაო? განა ცოტაა ასეთი ეროვნებანი და დაწესებულებანი, რომელთაც ჰქონიათ და დაუკარგავთ კიდეც დამოუკიდებლობა? უმაღლესი სამართლის მიხედვით ყოველ მათგანს აქვს უფლება დამოუკიდებლობის აღდგენისა; მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, დიდი ხანია რაც ცხოვრება ანგარიშს აღარ უწევს ამ უფლებას. უფრო დასაჯერია ცხოვრების გამოცდა, რომელსაც იგი ამტკიცებს, რომ ეროვნულ ნიჭის და თავისებურობის დაჩაგვრა და პიროვნების ახდა ვნების გარდა არას არგებს. ამ მხრივ საქართველოს საექსარხოსოს მატიანე მეტად საგულისხმოა. თავისუფლების მოყვარე ქართული სამღვდელოების დაქვემდებარება საყოველთაო რუსის საეკლესიო რეჟიმით მხოლოდ სიმძულვარეს დ განშორებას იწვევდა. ამავე დროს ეროვნულ სარწმუნოებრივ ნიჭის თვითგამორკვევის შეზღუდვა აღუნებდა ქართველი ერის სულიერ ღონეს და ამით აჩერებდა რუსეთის სახელმწიფოს ერთი უმდიდრეს—მხრის კულტურულ ზრდას. თვით რუსის ექსარხოსები მძიმე გულით მიდიოდნენ საქართველოს საპატიო მაგრამ ეკლიან სამსახურში და წამსვე ცვლიდენ ექსარხოსის მიტრის ბრწყინვალებას შიდა რუსეთის რომელიმე საარქიეპისკოპოსოს მოწყენილ სინათლეზე. რა უნდა იყოს იმაზე უკეთესი, თუ ქართულ ეკლესიას დაუბრუნებენ თვითგამორკვევის თავისუფლებას, თვითონ ამოარჩევიებენ ეპისკოპოსებს და ექსარხოსებს და გააბატონებენ ქართულ ენას სკოლაში და წირვა-ლოცვაში.

მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ ცნება „ქართული ეკლესიისა" არ არის საკმაოდ გარკვეული, საქართველოს საექსარხოსოში მარტო ქართველნი კი არ შედიან, არამედ მრავალი სხვა კავკასიელი ერნიც; თუ საეკლესიო საკითხს ეროვნული თვითგამორკვევისაკენ გადავხრით, მაშინ საჭიროა ყველა ეროვნული ინტერესების დაზღვევა; ამ მხრივ კავკასიის მდგომარეობას ძალიან ართულებს ეროვნული შუღლი; აქ ყოველ პატარა ერს ჰსურს ცალკე ცხოვრება და არას გზით არ დაემორჩილება სხვის გავლენას. ქართული სამღვდელოება კი სარგებლობს რა თავის შედარებით მაღალ კულტურით, ძველიდანვე ბატონობს კავკასიის ეკლესიის საქმეებში და არაფრით არ ჩამოუვარდებიან თავიანთ „გამაქართველებელ" მოქმედებაში ჩვენს „გამრუსებლებს"; რასაკვირველია, რომ იგი ამ როლს შეინარჩუნებს და კიდეც გაავითარებს მას ავტოკეფალურ ქართულ ეკლესიაში, თუ ასეთი მოეწყობა; ამიტომ სუსტ ეროვნებათა ინტერესები ქართულ ეკლესიაში უნდა დაცულ იქმნას განსაკუთრებული სიფრთხილით შედგენილი საეკლესიო წესით (კონსტიტუციითა).

საქმის სირთულე კიდევ არ არის მისი გაჭიანურების საბუთი, როგორც ეს უყვართ ხოლმე ბიუროკრატიულ კანცელარიებში; მაგრამ მაინც საეჭვოა, რომ ქართული საკითხი კეთილად გარდაწყდეს ახლანდელ საეკლესიო პირობებში.

რა თვალით შეხედავს რუსის ხალხი თავის სინოდს, შორეულ საქართველოში რომ თავისუფალი ეკლესიური ცხოვრება დაიწყოს და თვითონ ამოირჩიონ არქიელები,—როდესაც შიდა რუსეთში ამაოდ მოელიან საეკლესიო ყრილობის მოწვევას და რეფორმას; თუ ქართულ სამწყემსოს უნდა იყოლიოს თავისი საკუთარი მწყემსი და ამის უფლებასაც აძლევენ, მაშ როგორ უნდა უთხრან ამის უარი სახელმწიფოს ამშენებელ ას მილიონიან რუსის ხალხს?

დასასრულ, განა მკვიდრი იქნება თვით საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა, მკვიდრი იქნება მათავე რუსის ეკლესიის თავისუფლების უზრუნველ-უყოფელად? საღი ჭკუაც და ისტორიული მაგალითებიც გვიკარნახებენ, რომ საქართველოს ეკლესიის დამცველთ ჰმართებს პირველად ყოვლისა მთავარი რუსული საეკლესიო საქმეზე ზრუნვა; პირველი შეხედვით ვითომც ეს გრძელი, მოსავლელი გზაა, ნამდვილად კი სწორედ ეს გზაა მართებული და სწორეო".

ასეთია რუსის დემოკრატების, ეგრედ წოდებულ „ტრუდოვიკების" მოტრფიალე გაზეთის აზრი საქართველოს უფლებათა აღდგენის შესახებ; მათი მოსაზრებათა დაწვრილებითი განხილვა შემდეგისათვის იყოს.

# ისევ სამღვდელოებაზე

საქართველოს დედა ქალაქში თბილისში, თუ რამე ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდება, სოფელი მაშინვე მას გამოეხმაურება ხოლმე. ქ. თბილისში, ამ უკანასკნელ დღეების ერთ შესანიშნავ ამბავთაგანად ბ. ვოლჟინის, სინოდის ობერ-პროკურორის ჩამოსვლა უნდა ჩაითვალოს.

ამ სტრიქონების დამწერი, ბ. ვოლჟინის თბილისში ჩამოსვლის დროს, სოფელში იმყოფებოდა და გულდასმით თვალყურს ვადევნებდი პროვინციის სამღვდელოებას, მინდოდა გამეგო მათი ზრახვანი, მათი გულის ტკივილი.

საზოგადოდ ქართველი სამღვდელოების მდგომარეობა, და, კერძოთ კი, სოფლისა სახარბიელო პირობებში არ იმყოფება. მის შემდეგ, რაც საქართველოს ეკლესიამ დამოუკიდებლობა დაჰკარგა, ქართველ სამღვდელოებას გამორკვეული არა აქვს, როგორც თვისი მდგომარეობა, აგრეთვე ის, თუ როგორ უნდა მოხერხდეს შეთანხმებული ცხოვრება მასა და მრევლს შორის, რადგანაც ჩვენი სამღვდელოება პირველ ყოვლისა რუსეთის მოხელედ უნდა ჩაითვალოს, ვიდრე ერისა და მრევლის ინტერესის დარაჯად.

მიუხედავად ყველა ამისა აღსანიშნავია, რომ სოფლის სამღვდელოება, რომელსაც ქალაქის სამღვდელოება მედიდურად ზემოდან დასცქერის და ხშირად მის მჟღავრობასაც ჩემულობს, მეტს სიფხიზლეს და საზოგადო საქმეზე ზრუნვას იჩენს ხოლმე, ვიდრე ქალაქისა. ამ დებულებაზე შეიძლება ქალაქელები არ დაგვეთანხმენ და გვკითხონ: სად არის პროვინციის სამღვდელოება, რატომ თავის ეკლესიის მდგომარეობაზე ხმას არ იღებსო?

ამაზე ვუპასუხებთ, რომ არც თუ ქალაქის სამღვდელოებაა მეტყველი და ფხიზელი და თუ პროვინციისა გაჩუმებულია და უმოქმედობას იჩენს, ეს უფრო იმით აიხსნება, რომ სოფელი ქალაქს შესცქერის, დარწმუნებულია, რომ ქალაქის სამღვდელოებას საქართველოს ეკლესიაზე გული შესტკივა და როდისმე ხმას ამოიღებსო. ასე ეგონათ ამ უკანასკნელ დროსაც.

პროვინციის სამღვდელოებამ გაიგო თუ არა ბ. ვოლჟინის თბილისში ჩამოსვლა, დიიმედებული იყო, რომ ქალაქის სამღვდელოება გაბედულად მოახსენებდა ბ. ობერ-პროკურორს ქართველი ერის გულის ტკივილს და ეტყოდა სამართლიან სიტყვას უშიშრად, რომ თვით სარწმუნოების ინტერესები მოითხოვს დაუბრუნდეს საქართველოს ეკლესიას კანონიერი უფლება, ე. ი. დამოუკიდებლობა. ამაში სოფლელები იმდენად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სახელ და გვარებსაც კი ასახელებდნენ თბილისელი მღვდლებისას, რომელთაც სწავლაც მიუღიათ და ცოდნაც; ეგონათ, რომ ესენი, რომელთაც კერძო ლაპარაკში თუ ნადიმზე სიტყვა ავტოკეფალია ენაზე აკერიათ, ამავე ენით თვით ბ. ობერ-პროკურორსაც დაელაპარაკებოდნენ, მაგრამ... მწარედ მოსტყუვდნენ. პროვინციელები უნდა დარწმუნდნენ, რომ მათ ნაკლები იმედი უნდა ჰქონდეთ ქალაქელების, რადგანაც ესენი ცხოვრებით, თუ თავმოყვარეობით უფრო მეტად არიან გატაცებულნი, ვიდრე საზოგადო საქმით და რომ ეს ასეა, დაგვანახვა ბ. ვოლჟინის ჩამოსვლამ და ქალაქის სამღვდელოების დუმილმა.

ბ-ნი ვოლჟინი დაუბრუნდა ქ. პეტროგრადს, ქალაქის სამღვდელოებაც ძველებურად შეუდგება სამსახურს და იმედია კერძო ლაპარაკში სიტყვა ავტოკეფალიას ვერავინ დაასწრებს, პროვინციელებიც იმედით გაცრუებულნი ღვთით ძველ საქმეს შეუდგებიან. ერთი სიტყვით ცხოვრება ძველ კალაპოტში დაიწყებს დენას.

ჩვენის აზრით საქართველოს ეკლესიის ბედს არა ეშველება-რა, თუ თვით ხალხში არ იქმნა ეს საკითხი გადატანილი, მრევლმა ნათლად უნდა იცოდეს მისი წარსული და აწმყო მდგომარეობა.

ამ შემთხვევაში კი დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიან სოფლის სამღვდელოებას.

* * *

9 მარიამობისთვეს დ. ცხინვალში დანიშნულია სამი საბლაღოჩინოს ყრილობა: ცხინვალისა, ჯავისა და ერედვისა. ამ ყრილობაზე 80 კაცზე მეტი მოიყრის თავს, თუ კი ყველანი გამოცხადდებიან. პირველ ყოვლისა ყრილობა განიხილავს საკითხს იმ გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც თანამედროვე ომის პირობებმა ჩააყენეს, განიხილავენ აგრეთვე ქართულ საეკლესიო ბეჭედის ბედს, იმასაც, რომ სასწავლებლებში სამღთო რჯული ქართულ ენაზე ისწავლებოდეს და სხვა.

ჩვენის აზრით ამ ყრილობაზე სამღვდელოება საერთო კითხვასაც უნდა შეეხოს, ე. ი. საქართველოს ეკლესიის საკითხს. ნურავინ ნუ იტყვის, რომ თბილისში ყოფნის დროს ბ. ობერ პროკურორს თუ არ მოხსენდა პროვინციის სამღვდელოების აზრი ეკლესიის მდგომარეობაზე, ეხლა დაგვიანებულია. ივერიის ეკლესიის საკითხი იმდენათ მომწიფებულა, რომ მაზე გამოთქმულ აზრს ყოველთვის ღირებულება აქვს და ანგარიშსაც გაუწევენ. ამისათვის საჭიროა ამ ყრილობაზე შესაფერი რეზოლიუცია გამოიტანონ და სხვა დადგენილებებთან ერთად გაიგზავნოს სადაც ჯერ არს. დეე, ცხინვალის ხეობის სამღვდელოებამ პირველმა ამოიღოს ხმა, რომ ქართველ სამღვდელოების საერთო დუმილი დაირღვეს და იქნებ ამათ სხვა საბლაღოჩინოებიც გამოეხმაურონ?

ვნახოთ, რა გზას დაადგება დ. ცხინვალში სამი საბლაღოჩინოს ყრილობა, ისევ დუმილს არჩევს, თუ ამეტყველდებიან?

**ჩ. კაპანაძე.**

# მეურნეობა

**ქაღალდის ქარხანა ფოთში.** ნ. ნიკოლაძე წასულა პეტრეს ქალაქში და თან წაუღია რამოდენიმე წლის წინად დამზადებული გეგმა ქაღალდის ქარხნის მოწყობისა. ამ საქმისათვის საჭიროა 40.000 მანათი, თუ ქარხანა მარტო გასახვევ ქაღალდს დაამზადებს; ხოლო გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა გადიდებული იქმნება, რათა ქარხანამ საწერი ქაღალდიც დაამუშაოს.

**ლ. ზუბალაშვილის** ბაქოს წარმოებას უწოვნია მკათათვის განმავლობაში 502.000 ფუთი ნავთი... (ნობელს—7.964.651 ფ., მანთაშევს—1.334.876 ფ., ლიანოზოვს—1.187.120 ფ.).

**ხ. ტაბა-გრებში** შავი ქვის დამუშავების ნება დაურთავთ ი. გავრილიდისათვის და ქ. მახარაშვილისათვის.

**თბილისის საადგილ-მამულო ბანკის** საგირაო ფურცლების ფასს აუწევია პეტრეს ქალაქის ბირჟაზე: უწინ ფასობდა 79, ახლა $81^1/_4$ ღირს.

# ქალაქის საბჭო

**4 მარიამობისთვე.**

კრება გაიხსნა საღამოს 9 საათზე თავ. ა. მ. არღუთინსკის თავმჯდომარეობით.

კრებას მოხსენდა ხოლერის გაჩენა თბილისში და მის საწინააღმდეგოდ საჭირო ზომები. გამგეობამ სთხოვა კრებას 10,000 მანეთი ეპიდემიასთან საბრძოლველად, თან განაცხადა, თუ ხოლერამ მკაცრი ხასიათი არ მიიღო, ეს ფული სრულად არ დაიხარჯებაო. ხოლერამ გლდანშიც იჩინა თავი. აქ ქალაქის წყლის არხის ტოტია, **ხმ. ლუნკევიჩმა** ითხოვა, რომ გლდანის არხებს დეზინფექცია უყონ. **ხმ. მუსხელიშვილმა** ითხოვა, ფულის დახარჯვას ნუ მოერიდება გამგეობა, თორემ, თუ სენი გავრცელდა, 10,000 მანეთის ნაცვლად 100,000 მანეთიც აღარ იკმარებსო. საბჭომ 10,000 მანეთი გადასდო ამ საქმის მოსაწესრიგებლად.

შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენება მარხვა დღეების შესახებ. მთავრობის მიერ კვირაში ოთხი დღე—სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი და პარასკევი—მარხვად გამოაცხადეს. ამ დღეებში ხორცის გაყიდვა, გარდა ფრინველეულობისა, ყველგან აღკრძალული უნდა იყვეს. ქალაქის საბჭომ უნდა გადასწყვიტოს დანარჩენი 3 ხსნილი დღის განმავლობაში თითოეულ დღეს რამდენი სხვილ-ფეხა, წვრილ-ფეხა და ღორი უნდა დაიკლასო. ამ ანგარიშში არ უნდა შედიოდეს ჯარებისათვის დასაკლავი საქონელი, არც ის საქონელი, რომელთა ხორცი შესანახად დამარილდება ანუ კონსერვებისათვის იქნება საჭირო. ანგარიშის მიხედვით თბილისში დღიურად იკვლის 600—340 სხვილ-ფეხა და 1000—700 წვრილ-ფეხი საქონელი, ბატკანი 70; ღორი 400—200; გოჭი 93.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა: ხსნილ დღეებში დაიკლას 620 სხვილ-ფეხა და 1000 წვრილ-ფეხა საქონელი, ბატკანი—70, ღორი—400 და გოჭი 93. ამასთანავე საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ ნებადართულ იქმნას დაკვლა ზედმეტი საქონლისა, თუ შემთხვევით მორეკეს სასაკლაოზე, მაგრამ ამ საქონლის ხორცი შეინახება სასაკლაოს საყინულეში და ზემო აღნიშნულ ნორმის კვალობაზე გამოიტანება ბაზარში გასასყიდად.

შემდეგ განხილულ იქმნა ხმ. ნესმაშნის მოხსენება: ტრამვაის მოძრაობა ნაშუაღამევზე მოისპოსო, რადგან ეს მოძრაობა მოსვენებას არ აძლევს ავადმყოფებს და ამასთანავე ღამით ქეიფს ხელს უწყობსო. საბჭომ უსაფუძვლოდ სცნო ნესმაშნის განცხადება, ხოლო დაავალა გამგეობას, რომ 20 მარიამობისთვიდან თანდათან შეამციროს ღამის ვაგონების რიცხვი და 1 ენკენისთვიდან სულ მოსპოს ნაშუაღამევის მოძრაობა.

დასასრულ, განხილულ იქმნა ტრამვაის მოსამსახურეთა განცხადება. მოსამსახურენი თხოულობდნენ, რომ ისინი უფლებრივად გათანაწორებულ იქმნან თვითმართველობის დანარჩენ მოსამსახურეებთან დ ვინც მათგანი ჯარში იქმნება გაწვეული, ცოლშვილიანს უნდა ეძლიოს ჯამაგირის 75%, ხოლო უცოლშვილოს 50%. გამგეობის განმარტებით თუ ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნა, ხარჯის დასაფარავად საჭირო იქნება 272.000 მანეთი და ტრამვაის წმინდა შემოსავლიდან მეტიც აღარ დარჩება. ამიტომ გამგეობისა და სატრამვაიო კომისიის აზრით შუამდგომლობა უარყოფილი უნდა იქმნას. საბჭომ უკამათოდ და ფარულის კენჭის ყრით (27 ხმით წინააღმდეგ 2-ისა) შეიწყნარა გამგეობისა და სატრამვაიო კომისიის წინადადება და შუამდგომლობა უარყოფილ იქმნა.

# ქუთაისის სასულიერო სემინარია

გაზეთებმა, ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნის შესახებ, ცუდი ამბავი გვაუწყეს. 28 მკათათვეს, ჩვენს დედა ქალაქ თბილისში, ექსარხოსის ბინაზე, ამ საგნის შესახებ, საგანგებო კომისიას მსჯელობა ჰქონებია, რომელ კომისიასაც შემდეგი დაუდგენია: ვინაიდგან ქუთაისის სემინარიისათვის არც ბინა არის, არც საჭირო ფულებია და არც მასწავლებლები მოიძებნებაო ამისათვის სემინარიის გახსნა გადადებულ იქმნას და ამაზე უწმინდეს სინოდს მოხსენდესო *). აღნიშნული კომისიის ასეთი დადგენილება ყოველ საღ მოსაზრებას მოკლებულია. უპირველეს ყოვლისა ამ კომისიას უფლება არ ჰქონდა სემინარიის გახსნა-გაუხსნელობაზე მსჯელობა გაემართა, რადგანაც ამის შესახებ უწმინდესი სინოდის უკაზი ძალაშია შესული და თვით ხელმწიფე იმპერატორისაგან არის ნაბრძანები ქუთაისის სემინარიის ამა წლის პირველ ენკენისთვიდან გახსნა, და თუ მაინცა და მაინც იმსჯელა სემინარიის გახსნაზე, ყალბი ცნობების მოყვანას მაინც უნდა მორიდებოდა. სემინარიის გაუხსნელობას პირველად კომისია უბინაობაზე ამყარებს და უკაზში კი გარკვევით არის ნათქვამი, რომ სემინარიის კლასები ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შენობაში გაიხსნასო. უკაზის დაწერამდის ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შენობა ამ მიზნისათვის მაშინდელი ექსარხოსის პიტირიმის ბრძანებით თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორმა არხიმანდრიტმა მელხისედეკმა დაათვალიერა და კიდევაც მოიწონა და თუ ბინა არ ყოფილიყო, შეიძლება უწმიდესი სინოდი ქუთაისის სემინარიის შესახებ სულ სხვანაირ უკაზს შეადგენდა. გარდა ამისა თვით ეხლანდელი ექსარხოსის პლატონის რჩევით სემინარიის საკლასო ოთახებს ქ. სასულიერო სასწავლებელში რემონტი უყვეს და ამ რემონტისათვის სასულიერო სასწავლებლის გამგეობამ ამ ზაფხულზე სამასი თუმანი მეტი დაახარჯა. სემინარიის მოლოდინის გამო მარტო ეზოს გაფართოვება დაჯდა რამოდენიმე ათეული თუმანი და ორი ამოდენა სემინარიისათვის ახალი პარტების დამზადებას მოუნდა. და თუ ბოლოს უბინაობა იქნებოდა სემინარიის გაუხსნელობის მიზეზი, გასაოცარია ღმერთმანი, რატო წინდაწინ არ გაითვალისწინა მათმა მაღალყოვლად უსამღვდელოესობამ და რად შეიყვანა ისედაც გაღატაკებული იმერეთის სამღვდელოება ამოდენა ხარჯებში? რაც შეეხება უფულობას, თუ კი რუსეთის სემინარიებისათვის ეშოვება უწმინდეს სინოდს ფულები, რაღა ქუთაისის სემინარიისათვის გაუწყვა ამ დაწესებულებას 17-დე ათასი მანეთი! მასწავლებლების უშონლობაზე ხომ სულ ზედმეტია კომისიის ლაპარაკი. ცოტა არის ქართველები, უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებულები, რომელიც ორი-სამი წელიწადი უქმად [illegible] ქალებს? მაგრამ კომისიას ალბათ [illegible] რუსების" [illegible] ქუთაისის სასულიერო სემინარიაში და შეიძლება იმათი უშონლობა უშლიდეს ხელს. ასე თუ ისე ძალა აღმართს ხნავს და დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებას მოლოდინი არ გაუმართლდა და ახლო მომავალში ქუთაისში სემინარია აღარ გაიხსნება. უწმინდეს სინოდში ძალიან ცოტა მომხრე აღმოუჩნდება ჩვენ სემინარიას და მის გახსნას ჯერეთ ერთი წლით გადასდებენ და მერე შეიძლება სულაც გადასდვან.

**მ. ფარცხნალელი.**

*) ამ მოკლე ხანში უწმინდეს სინოდს ჰქონია ამ საგანზედ თათბირი და როგორც გვატყობინებენ მას ქუთაისის სასულიერო სემინარიის დაუყონებლივი გახსნა გადაუწყვეტია.

**რედ.**

# თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხ. კრება

**31 ივლისი**

კრება იხსნება $11^1/_2$ ს. საბჭოს თავმჯდომარემ ბ-ნმა ყაზახაშვილმა კრება კანონიერად გამოაცხადა და სთხოვა თავმჯდომარე აერჩია. კანდიდატებად ასახელებენ: ბბ. ხირსელს, ცისკარაშვილს, კლიმიაშვილს და ვ. პაატაშვილს. ხმის უმეტესობით თავმჯდომარედ ირჩევენ ბ-ნ კლიმიაშვილს, მდივნად—ბ. გორდეზიანს.

თავმჯდომარე წინადადებას აძლევს კრებას ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებულ ირ. ევდოშვილის, ა. ყიფშიძის და ლ. დარჩიაშვილის ხსოვნას.

თავმჯდომარე სთხოვს გამგეობას გააცნოს კრებას წლიური ანგარიში; გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი ლუკაშვილი ანგარიშს კითხულობს და განმარტებას იძლევა, მაგრამ კრებას მაინც არა აქვს წარმოდგენილი ნათლად წლიური ანგარიში; გარდა ამისა თვით ციფრებშიაც აღმოჩნდა განსხვავება ბ-ნ ლუკაშვილის მიერ წაკითხულ ანგარიშის და იმ საანგარიშო ფურცლებში, რომლებიც დაურიგეს წევრებს; ბ-ნ ლუკაშვილის განმარტებით ეს განსხვავება მოხდა საანგარიშო ფურცლის შედგენის მისი აქ არ ყოფნის გამო.

**ბ-ნი გოგიაშვილი** კითხულობს თუ რატომ დაანება თავი ბ-ნმა ა. ვახვახიშვილმა საბჭოს თავმჯდომარეობას?

**თ. გ. ავალიშვილი** ემხრობა ორატორს და მოითხოვს გააცნონ კრებას, თუ რა მიზეზებმა აიძულა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ვახვახიშვილი თავი დაენებებია საზოგადოების მიერ დაკისრებულ მოვალეობისათვის.

**ალ. ვახვახიშვილი.** ჯერ განვიხილოთ ანგარიშები, მოვისმინოთ მოხსენებანი და შემდეგ დაწვრილებით მოგახსენებთ, რამაც მაიძულა თავი დამენებებინა საბჭოს თავმჯდომარეობისათვის.

**თავმჯდომარე** წინადადებას აძლევს კრებას ეს საკითხი განხილულ იქმნას შემდეგში, ეხლა კი ანგარიში განვიხილოთო.

**ბ-ნი გოგიაშვილი.** მინდა გავიგო და საჭიროც არის, ანგარიშზე ხელი უწერია თუ არა სარევიზიო კომისიის წევრებს.

**თავმჯდომარე.** ხელი უწერია სარევიზო კომისიის მხოლოდ სამ წევრს.

**გ. ავალიშვილი.** თუ ანგარიშზე ხელი არ უწერია სარევიზიო კომისიის წევრებს, ის ნამდვილი და კანონიერი არ არის.

**ალ. ვახვახიშვილი** შენიშნავს, რომ ბანკის მოსამსახურეები გავლენას ახდენენ კრებაზე და ამიტომ მოითხოვს მათ დათხოვნას კრებიდან.

**გ. ავალიშვილი.** ანგარიშის განხილვა და სხვა ყოველივე ამხანაგობის კანტროლობა ევალება საბჭოს; შარშანდელმა კრებამ ამოირჩია სარევიზიო კომისია; კომისია ვალდებული იყო განეხილა ანგარიში და წარედგინა საბჭოსათვის ანგარიშის შესახებ თავის საკუთარი მოხსენება, მაგრამ სარევიზიო კომისიას ნაკისრი მოვალეობა არ აუსრულებია.

**ლევ. ვახვახიშვილი.** საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ყველა წევრს უნდა განეხილა და კრიტიკა გაეკეთებინა ანგარიშისათვის და შემდეგ წარმოედგინა იგი კრებისათვის.

**ალ. ვახვახიშვილი:** თავისთავად ცხადია რომ ანგარიში არ არის კანონიერი, რადგანაც მასზე ხელი არ უწერია სარევიზიო კომისიის ყველა წევრებს.

**ვ. ციცქიშვილი.** საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა მიზეზის გამო არ უწერია ხელი ანგარიშზე სარევიზიო კომისიის ყველა წევრს, გარდა ამისა საჭიროა ვიცოდეთ, ჰყავდა თუ არა საბჭოს მდივანი.

**ან. ყაზახაშვილი** (საბჭოს თავმჯდ.). მდივან ლომიძის ავათმყოფობის გამო საბჭოს ოქმებს სწერდა საბჭოს თავმჯდომარე.

**ბ-ნი გოგიაშვილი.** შარშანდელ წლიურ კრებაზე დავავალეთ საბჭოს მო-

ეწვია საქმის მცოდნე სპეციალისტები, რომლებსაც უნდა გამოერკვიათ დაწვრილებით ყოველივე მოქმედება ამხანაგობისა; როგორც ვიცი მოწვეულ იყვნენ სპეციალისტები და შესაფერი ჯილდოც მიიღეს, საჭიროა კრებამ იცოდეს: რა გამოარკვიეს, რა გააკეთეს ამ სპეციალისტებმა.

**თავმჯდომარე.** მოწვეულ სპეციალისტებს რევიზია არ მოუხდენიაო; სჩანს, რომ რევიზია მხოლოდ სარევიზიო კომისიისაა.

**ალ. ვახვახიშვილი.** მე, როგორც საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ, ვიცი, თუ რა გააკეთეს მოწვეულმა სპეციალისტებმა: მართალია, იყვნენ მოწვეულნი გარეშე სპეციალისტები, მაგრამ მათ ერთი კვირის მუშაობის შემდეგ განაცხადეს: ამხანაგობის საქმე აწეწილ-დაწეწილია, ამ ცოტა ხნის განმავლობაში საქმე არ გამოირკვევა, ჩვენ კი საკუთარი საქმეების გამო ბევრი დრო არა გვაქვსო; აი, ამით დასრულდა მოწვეულ სპეციალისტების მოქმედება.

**ან. ყაზახაშვილი.** ორატორი კრებაზე გავლენას ახდენს, გთხოვთ შეიტანოთ ოქმში.

**ბ. იმერლიშვილი.** მართალია, მე საბჭოს წევრი ვარ, მაგრამ ანგარიშის განხილვაში მონაწილეობა არ მიმიღია,—მომაჩეჩეს ხელში ანგარიში და მეც მოვაწერე ხელი.

**დ. ლუკაშვილი.** ბ. იმერლიშვილმა თვითონვე აიმასხარავა თავი, ნუ თუ არ იცოდა რაზე აწერდა ხელს (პირადი შეურაცყოფა იწვევს პროტესტს).

**გ. ხირხელი.** ადასტურებს ალ. ვახვახიშვილის ნათქვამს მოწვეულ სპეციალისტების შესახებ.

**გ. ლაზარიაშვილი:** რატომ არ შეასრულა საბჭომ კრების დადგენილება. რატომ საქმე საბოლოოდ სპეციალისტებს არ გამოარკვევია? 20,000 მანეთი ტყუილა გაფლანგეს, სპეციალისტებისთვის ჯილდოს მიცემა ვერ შესძლეს?!

**ან. ყაზახაშვილი.** მართალია, განაცხადეს მოწვეულმა სპეციალისტ-რევიზორებმა, რომ ამხანაგობის საქმე არეულ-დარეულიაო, მაგრამ ეს მოხდა არა რევიზორების საკუთარის დაკვირვებით, არამედ სხვის გავლენით; ივ. კარბელაშვილმა და სხვებმაც მოწვეულ პირებზე გავლენა იქონიეს.

**თავმჯდომარე.** ვსთხოვ კრებას ჯერ მოისმინოს სარევიზიო კომისიის მოხსენებაც და მერე შეუდგეს ანგარიშის დაწვრილებით განხილვას.

**ან. ყაზახაშვილი.** კითხულობს სარევიზიო კომისიის მოხსენებას; (კითხვის დროს ისმის ხმები: ეს მოხსენება კი არა, უბრალო მასლაათია, ციფრები გაგვაცანით).

**თავმჯდომარე.** წინადადებას აძლევს კრებას ილაპარაკონ წაკითხული მოხსენების შესახებ ან დაამტკიცოს ის.

**ბ-ნი მწყერაძე.** ჩვენი ამხანაგობის საქმე დაიწყო და გაიზარდა ლუკაშვილის მეცადინეობით; მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ამხანაგობის წინაშე, ჩვენ მას ვენდობით, საკმარისაა მხოლოდ მან გადაავლოს თვალი ანგარიშებს (ისმის დიდი ხმაურობა, კრებას რაოდენიმე მთვრალი წევრი მოემატა, რომლებიც არღვევენ წესრიგს, თავმჯდომარე იძულებულია 10 წუთით შესწყვიტოს კრება).

კრების განახლებისას ერთ საქმით დაინტერესებულ ჯგუფს, არა წევრებს, შემოაქვს წინადადება, რომ გარეშე პირებსაც მიეცეს შეძლება თავისი აზრის გამოთქმისა; თავმჯდომარე თავის უფლებით ამ საკითხს ვერ სწყვეტს, კრება კი წინადადებას არ იღებს.

**თავმჯდომარე.** განმეორებით ვთხოვ კრებას ილაპარაკოს მოხსენების შესახებ.

**ივ. კარბელაშვილი.** კრებას შეძლება არა აქვს დარწმუნდეს სწორია თუ არა ანგარიშში მოყვანილი ციფრები; საერთო მიღებული წესით სარევიზიო კომისია იხილავს ანგარიშს, კრიტიკას უკეთებს და შემდეგ უდგენს კრებას. წაკითხული მოხსენება უფრო ყაზახაშვილის საკუთარი მოხსენებაა, ვინემ სარევიზიო კომისიისა; მოხსენებიდან ცხადად უნდა სჩანდეს რა გაყიდა ან რა იყიდა ამხანაგობამ, რა ფასებში შეიძინა ან გაყიდა საქონელი; მთელი ჩვენი ქონება აქ არის, ამხანაგობის საქმეებს ნათელი უნდა მოეფინოს, ამისათვის საჭიროა ამორჩეულ იქმნას ხელ-ახალი კომისია, რომელსაც უნდა დაევალოს საბოლოო გამუქება ამხანაგობის მოქმედებისა.

**ალ. ვახვახიშვილი.** წაკითხული ანგარიშებიდან ვერ გავიგეთ ნამდვილი საქმის ვითარება ამხანაგობისა; ანგარიში ბუნდოვანებით არის მოცული, ამიტომ ანგარიშს კრება ვერ მიიღებს; როგორც ვიცი 1914 წლიდან არც ინსპექტორს შეუდგენია სარევიზიო აქტი; საჭიროა კრების გადადება და მომავალი კრებისათვის ნათელი და სწორი ანგარიშების წარმოდგენა.

**მლ. დეკანოზიშვილი** ემხრობა ორატორს და დასძენს, რომ 24 აპრილის კრება მიტომ გადაიდო, რომ შეემუშავებიათ ნამდვილი, სწორი ანგარიში ამხანაგობისა და წარმოედგინათ მომავალი კრებისათვის, მაგრამ არც საბჭოს და არც გამგეობას ჩვენი დავალება არ შეუსრულებია.

**ბ-ნი მინდორაშვილი.** ჩვენ უსწავლელი ხალხი ვართ, თქვენ კი ნასწავლები ერთმანეთზე შურს სძიებთ. ჩვენ სრულიად ვენდობით ლუკაშვილს და ანგარიშსაც მივიღებთ.

**გ. ხირხელი.** ჩვენ ყველას გვსურს ამხანაგობის კეთილდღეობა; ატეხილი აურზაური გაუგებრობამ გამოიწვია. ჩვენ მოვისმინეთ ორი ანგარიში; საბჭოს თავმჯდომარისა და გამგეობისა; მაგრამ სამწუხაროდ არც ერთიდან, არც მეორედან ნათლად არა სჩანს ანგარიში; მაგ. საინტერესოა კრებისათვის იცოდეს: რამდენი იყიდეს შაბიამანი, რამდენი მისცეს ან როგორ გაყიდეს, რამდენი დაუჯდა ამხანაგობას გოგირდი, ფქვილი თუ სხვა; როგორ მოხდა, ან ვისი წყალობით, რომ კერძო ვაჭარმა ფრიდონოვმა ამხანაგობაზე ადრე მოიტანა შაბიამანი და უფრო იაფათაც გაყიდა; ნუ თუ ამხანაგობას მეტი შეძლება არ ჰქონდა, რომ უფრო ადრე შეეძინა შაბიამანი ვინემ კერძო ვაჭარს? ჩვენი ამხანაგობის საქმე ძალიან გაიზარდა: რამოდენიმე მილიონი შიგ ტრიალებს. საჭიროა საქმეს სათავეში ჩაუდგენ საქმის მცოდნე გამოცდილი პირები; ბ. ყაზახაშვილს არ შესწევს ცოდნა გაითვალისწინოს და გაუძღვეს ამხანაგობას, რომლის ტრიალი, როგორც ზევით მოვიხსენიე, მილიონებით განიზომება. წაკითხული ანგარიში კრებამ არ უნდა მიიღოს. დაევალოს საბჭოს მოიწვიოს საქმის მცოდნე სპეციალისტები, რომლებიც უფრო ნათლად და დაწვრილებით გაგვაცნობენ ამხანაგობის საქმეებს.

**დავ. ლუკაშვილი.** შემიძლია საბუთებით დაგიმტკიცოთ, რომ გამგეობამ ყოველივე ღონე იხმარა შაბიამანი დროზე და ხელსაყრელ პირობებში შეეძინა. ამის შესახებ საყვედური ზედმეტად მიმაჩნია. მეც ყველას ვთხოვ ანგარიშის შესახებ გამოსთქვას თავისი აზრი. გამგეობა მზად არის ყველას დასაბუთებული პასუხი გასცეს. გამოითქვა სურვილი ახალი სარევიზიო კომისიისა, მეც მზად ვიქნები ყოველთვის მოვეხმარო კომისიას ანგარიშების განხილვაში და ამხანაგობის საქმის გამორკვევაში; საქმეების გამორკვევა, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, არც ისე ძნელია, საწარმოო წიგნებიდან ყველაფრის ანგარიში ცხადათ სჩანს; მე თვითონ მოვითხოვ ამორჩეულ იქმნას კომისია, მაგრამ რა საჭიროა სხვა ადგილიდან მცოდნე სპეციალისტების მოწვევა, მადლობა ღმერთს, ადგილობივაც მოგვეპოება მცოდნე პირები.

**ალ. ვახვახიშვილი.** საკითხი გამორკვეულია, ყველას ჰსურს სარევიზიო კომისია, რაღა საჭიროა პოლემიკა?

მიუხედავათ ბ-ნ ალ. ვახვახიავილის სამართლიან შენიშვნისა, თავმჯდომარე მაინც ეკითხება კრებას: ამტკიცებს, თუ არა კრება წაკითხულ ანგარიშსა და მოხსენებას? ამის გამო ერთი ჯგუფი დემონსტრატიულად სტოვებს დარბაზს.

დიდი ხმაურობის გამო თავმჯდომარე იძულებულია კრება დახუროს; კრება წყდება საღამოს 4 საათზე; კრებას დაესწრო 400-დე წევრი; მომავალი კრება დაინიშნა 6 მარიამობისთვისთვის.

**გრ. საქარიქედელი.**

# ქუთაისი

**ქუთაისის საზოგადო-საკრებულო და გაზ. „კუტაისკი ვესტი“.**

28 მკათათვეს ქუთაისის საზოგადო საკრებულოს მამასახლისთა საბჭომ შემდეგი წერილით მიმართა „კუტ. ვესტის“ რედაქტორს:

თქვენ მიერ გამოცემულ გაზ. „კუტ. ვესტში“ სისტემატიურათ ქვეყნდება პროვოკაციული შენიშვნები, რომელიც ნაციათა შორის ანტოგონიზმს სთესავს. თქვენი გაზეთის ასეთი მიმართულების გამო თქვენ არა ერთხელ მოგიხდიათ ბოდიში. ვფიქრობდით, რომ თქვენ გონს მოხვიდოდით, მაგრამ იმედი არ გამართლდა: „კუზიანს საფლავი გაასწორებს“-ო ნათქვამია.

ამ უკანასკნელ დღეებში თქვენს გაზეთში ვიღაც „პეტრე ჯარსკის“ მიერ მოთავსებულმა წერილებმა ერთი ალიაქოთი ასტეხა. ყოველი ადამიანი, ვინც ამ წერილებს წაიკითხავდა, რომელი ნაციის უნდა იყოს, თუ-კი მასში კეთილშობილობის ნასახი მოიპოება, არ შეიძლება არ აღელვებულიყო.

მცხოვრებთა მღელვარება თქვენსა და თქვენი გაზეთის წინააღმდეგ დღითი-დღე მატულობს. საქმე იქამდისაც-კი მივიდა, რომ საზოგადო საკრებულოს წევრებმა ამავე საზოგადოების საბჭოს სთხოვეს, რომ თქვენ საკრებულოში არ შეგიშვან.

საზოგადო საკრებულოს საბჭო უერთდება რა საზოგადო პროტესტს, წინადადებას გაძლევთ, დღეიდან საზოგადო საკრებულოში არ შემოხვიდეთ.

თქვენი ბედი ეწვია თქვენი გაზეთის გამომცემ გერმანსაც.

თქვენ, ბ. ავაკოვო, და თქვენი ამხანაგი გ. გერმანი ჯერ-ჯერობით ღირსი არ გამხდარხართ საზოგადო საკრებულოს წევრობისა და დადიოდით მხოლოდ როგორც სტუმრები. თუ გნებავთ დარწმუნდეთ, როგორი პატივისცემა დაიმსახურეთ საზოგადოებაში, შეგიძლიათ კენჭის ყრით მიიღოთ პასუხი.

ხმებია, ბ. ავაკოვო, გავრცელებული, რომ თქვენ ბათომის კლუბშიაც არ შეუშვიხართ.

თქვენ მიერ შემოტანილ 5 მანეთს უკან გიბრუნებთ. („ჩ. მ.“).

**„მამასახლისთა საბჭო“.**

# მოწოდება

(შორაპნის მაზრის საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობათა საყურადღებოთ)

როგორც ირკვევა იმ შაბიამნისა და გოგირდის საქმე, რომელიც გამოწერილი გვქონდა წასული წლის ოკტომბერში ყვირილის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის შუამდგომლობით, მოსკოვის სახალხო ბანკისაგან ხელ-ახლა ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილა და თუ დროზე ყურადღება არ იქნა მიქცეული, ადვილი შესაძლოა ვერც შაბიამან-გოგირდი მივიღოთ და ჩვენი წარდგენილი დასაკვეთი ფულიც დავკარგოთ... ამისათვის ჩვენ ამ მოწოდებაში ახლა არ შეუდგებით საქმის ყოველმხრივ გამოაშკარავებას და თუ არ გვინდა ჩავარდეთ საზოგადოების უმეტეს წევრთა საყვედურში და შეურაცხყოფილი არ დავრჩეთ,—საჭიროა დაუყონებლივ ყველა შორაპნის მაზრის საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლების კრება, რომელიც უნდა მოხდეს დაბა ყვირილაში და, რომელზედაც უნდა იქნეს აღიარებული ნამდვილი ვითარება საქმისა.

ვალდებულად ვსთვლით ყვირილის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობამ დანიშნოს რწმუნებულების მოწვევის დრო არა უგვიანეს 14 მარიამობისთვისა.

უმორჩილესად ვსთხოვთ გაზეთ „სამშობლოს“ და „სახალხო ფურცლის“ რედაქციას ეს მოწოდება გადაბეჭდონ.

შროშის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის **გამგეობა.**

# სოფლის კოოპერატივები

**სოფ. ატენი,** (ქართლი). 31 მკათათვეს დილით შესდგა დამფუძნებელი კრება ადგილობრივ მომხმარებელ საზოგადოების წევრთა. კრებას დაესწრო ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ინსტრუქტორი მალაქია ტოროშელიძე. კრებაზე არჩეულ იქმნა გამგეობა, რომელშიაც სულ გლეხები მოჰყვნენ. არჩეულ იქმნა აგრეთვე სარევიზიო კომისია, რომელშიაც ყველა ინტელიგენტები შედიან (მასწავლებელი, მღვდელი და სხ.). გამგეობას დაევალა შეჰკრიბოს საპაიო ფულები, შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა და წარმოუდგინოს მახლობელ საგანგებო კრებას. მაშინ გამოირკვევა, როდის იქნება შესაძლო გაიხსნას საზოგადოების მოქმედება. კრებას დაესწრო 70 კაცი, სულ ახალგაზდობანი, რომელთა შორის წერა-კითხვის მცოდნე 8 კაცი იყო. ინსტრუქტორს ტოროშელიძეს საზოგადოებამ დაავალა საწარმოო წიგნების მიწოდება.

—

**სოფ. ძევერა** (ქართლი). 31 მკათათვეს, საღამოს, გაიხსნა კრება ადგილობრივ საზოგადოებისა. კრებას დაესწრო ადგილობრივი მღვდელი და 50 კაცამდე გლეხი. კრებაზე დასასწრებლად მივიდა ინსტრუქტორი ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა მალაქია ტოროშელიძე, რომელიც ხალხს ესაუბრა მომხმარებელ ამხანაგობის სარგებლობის შესახებ. ხალხმა მოუ'მინა ბ-ნს ტოროშელიძეს და ადგილობრივ მღვდელს სთხოვა წარუდგინოს წესდება გუბერნატორს და აიღოს ნებართვა საზოგადოების დასაარსებლად.

შემდეგ ბ-ნმა ტოროშელიძემ, თანახმად გამგეობის თხოვნისა, რევიზია გაუკეთა ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობას. ამხანაგობას ჰქონია სახელმწიფო ბანკიდან აღებული მოკლევადიანი სესხი 10,000 მან., გძელ-ვადიანი 1,500 მან., 1 მარიამობისთვეს ბანკის ბალანსი უდრიდა 14,268 მან. 60 კაპ. ამ თანხიდან მომეტებული ნაწილი (13,595 მან. 90 კაპ.) გაცემულია სესხად ამხანაგებზე, მოძრავ ქონებაში დაბანდებულია 129 მან., კასაში არის 35 მან. 01 კაპ., ხოლო დანარჩენი ხარჯებზეა გასული.

აღსანიშნავია, რომ სოფელში არ მოიპოვება ცხენი და ბ-ნ ტოროშელიძე ფეხით დაბრუნდა გორში.

# თეატრი

**თელავი.** 31 მკათ. სცენის მოყვარეთა წრემ დასდგა მეორე სახალხო წარმოდგენა—წარმოადგინეს, ალ. ყაზბეგის „არსენა“. თავი როლები შეასრულეს: ნანუკოვმა (იორამი) და ბ-ნ ჯანდიერმა (არსენა). ქ-ნ მათიკაშვილს (ნინო) არა უშავდა რა, მხოლოდ სიტყვებს ძალიან აბრტყელებდა. რაც შეეხება დანარჩენ მოთამაშეთ, ყველას ემჩნეოდათ როლის უცოდინრობა და ხშირათ ერეოდათ სიტყვები.

**შუამთელი.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენი პატივცემული გაზეთის 176 ნომერში მოთავსებულია ბ-ნ ფრანც-მოორის კორრესპონდენცია სათაურით „ვალერიან გუნია ახალსენაკში“. ბ-ნი ფრანც მოორი ეხება დრამატიული წრის მოქმედებისა და თეატრის შენობის ისტორიას. იმავე დროს ეხება ადგილობრივ დასელებს, რომლებმაც თითქო გუნიას მოწვევაზე უარი განაცხადეს. უნდა მოგახსენოთ არაფერი ამისი მსგავსი არ ყოფილა. დასელების ყურამდე ამ ამბავს არ მიუღწევია. მხოლოდ ერთმა დასელმა კერძო ლაპარაკის დროს გამოსთქვა თავისი პირადი სურვილი, რომ საღამოსთვის ფართე ხასიათის მისაცემად უკეთესი იქნებოდა სხვა ნეიტრალ არტისტის მოწვევა ან და გუნიასთან ერთად კიდევ სხვებისაო. თუ ზოგიერთი დასელი არ დაესწრო ბანკეტს, ეს არაფერს ნიშნავს, ვინაიდან, როგორც თვით ბ-ნი ფრანც მოორი აღნიშნავს, ბანკეტი გამართეს სცენის მოყვარეებმა, რომელთა შორისაც დასელებიც ერივნენ. თუ გნებავთ ბანკეტზე სცენის მოყვარეთა გარდა საზოგადოების სხვა ელემენტებსაც მიეღო მონაწილეობა და ღირსეულად გადაგეხადათ ხელოვნების დღესასწაული ეროვნული ელფერით, მაშინ უკეთესი იყო დაგეჯერებიათ ის, რასაც გირჩევდათ ერთი დასელი.

**ძველი დასელი.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 | „ 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, | . 7 | „ 58 „ | საღ. |


# თუ გსურთ, მიმართეთ

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის ყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

ცნობის კონტორას

**ი. თ. გვათუასას**

თბილისი, ვერის დაღმართი, სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ქალაქელთა ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფად და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

# შეშის საწყობი

**ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა**

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყოველსათვის ხელმისაწვდენ ფასად

**საკუთარი ტყიდან**

საწყობს აქვს გადაშენდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(108—წ.) ტელეფონი 5—96.

საუკეთესო კახური

# ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის

**ბერელაშვილისა**

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

ქ. ბაქოში

# ღვინით ვაჭრობა „მელაანი“

**თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.**

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე **ლაღიძის** და ამხ-ს კარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“




მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვენით და მასთანვე

**სუნი და გემოც საამური აქვს**

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

# „განათლება“-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзѣ.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. ძეზველოვის-ძეთ“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ოშეტრენა“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4